საერთო გაზეთი

№18 (657)
ოთხშაბათი
25 მაისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო!

ხვალ, 26 მაისს, საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. თაობების სიცოცხლე და თავგანწირვა დასჭირდა იმას, რომ ეს დიადი და სანატრელი დღე დამდგარიყო.

ვულოცავ საქართველოს ყველა ღირსეულ მოქალაქეს ამ დიდებულ დღესასწაულს და აქვე გთავაზობთ ფრაგმენტებს ადრე გამოქვეყნებული წერილებიდან.

●

დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან გზას რომ გააყოლებ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ხნის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდნენ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა რაღაც ჩარჩოებში მოექციათ, რომლის იქეთ გასვლა სახიფათო და საშიშ ნაბიჯად გვეთვლებოდა.

ასე მოვაღწიეთ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ“ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მომენტიდან იწყება საქართველო გზადაგზა, ნაწილ-ნაწილ დაკარგული და შეკუმშულ-შემცირებული დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესს.

2012 წლის ოქტომბერი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელოვნურად გაწყვეტილი და შეჩერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირი გაგრძელებაა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეუძლებელი შესძლო და ნაციონალებს, ამ შინაურ დამპყრობლებსა და ოკუპანტებს, საქართველო ხელიდან გამოგლიჯა.

ვისაც რა უნდა ის დამაბრალოს, მაინც უნდა ვთქვა ის, რაც სიმართლედ მიმაჩნია — **ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს იგივე ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში, რაც ზვიად გამსახურდიამ.**

ბიძინა ივანიშვილმაც ზვიად გამსახურდიასავით თავის დროზე თავი გადასდო საქართველოსთვის და გმირ ქართველ ხალხთან ერთად ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და, რაც მთავარია, მან თავისი განსაკუთრებული ნიჭიერების წყალობით შესძლო ამ უდიდესი მონაპოვრის შენარჩუნება.

ბიძინა ივანიშვილსაც, ამ ათი წლის განმავლობაში, ზუსტად იგივე მეთოდებით ებრძვიან, როგორც ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას.

ამოსწიეთ იმდროინდელი პრესა, ნახეთ იმდროინდელი სატელევიზიო გადაცემები, ნახეთ იმდროინდელი მიტინგებისა და აქციების ამსახველი ვიდეოკადრები — ერთი-ერთში იმეორებს „ნაცმოძრაობისა“ და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების პათოსს და პათეტიკას.

ჩვენ, უფროს და საშუალო თაობის ადამიანებს, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი და ისიც კარგად ვიცით, როგორი ტრაგედიით დამთავრდა ეს ყოველივე საქართველოსთვის.

მხოლოდ გამსახურდია კი არ დაამარცხეს და დაამხეს მაშინ დემოკრატიის სახელს ამოფარებულმა ავაზაკებმა, საქართველო დაამარცხეს და დაამხეს, რის შემდეგაც ქვეყანა წელში ვერა და ვერ გაიმართა.

ახლა, იგივეს გამეორებას ცდილობენ იმ ავაზაკების შთამომავლები, ხოლო მათი ბელადი, მთავარი ავაზაკი, გლდანის ციხიდან ახალ-ახალ ინსტრუქციებს და დირექტივებს აგზავნის, თუ როგორ უნდა დაამხონ ხელახლა ეს ერთხელ უკვე დამხობილი და ფეხზე წვალებით წამომდგარი ქვეყანა.

გამაგებინეთ, სასჯელს იხდის ეს კაცი თუ რევოლუციური შტაბბინა აქვს გახსნილი ციხეში?

ბარემ, ისიც გამაგებინეთ, ეს ის კაცი არ არის ზვიად გამსახურდიას კავკასიის სადამ ჰუსეინს რომ ეძახდა, ახლა კი თავის თავს გამსახურდიას რომ ადარებს?

●

საქართველოს სიყვარული, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგულება დღესაც საშიშია საქართველოში, განსაკუთრებით იმ ქართველებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში არიან.

საკმარისია ვინმემ მკვეთრად ეროვნული ხასიათის განცხადება გააკეთოს, ან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც არ ჯდება სადღაც ვიღაცის მიერ დადგენილ ტრაფარეტში, მყისვე განგაშის სიგნალი ჩაირთვება და საზოგადოებას შიში იპყრობს — ეს საქართველოს გამოსარჩლებული კაცი საქართველოს გამოსარჩლების გამო თანამდებობიდან არ გაათავისუფლონ ან რაღაც სხვა ფორმით არ დასაჯონო.

განსაკუთრებით ხშირად ხდება ასეთი ამბავი ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი კაცია და არც არასდროს დაუმალავს, რომ მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა ემსახუროს საქართველოს და ქართველ ხალხს.

ყველას კარგად ახსოვს მისი განცხადება — ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!

მსგავსი რამ ასე ნათლად და ასე ღიად, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან პერიოდში არავის უთქვამს.

ჩემი აზრით, ეს განცხადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მთავარ დევიზად.

„ნაცმოძრაობამ“, რომელიც ბევრს კი იფხორება, მაგრამ სინამდვილეში, მონური კომპლექსებით დასნეულებული ძალაა, ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება დასავლური კურსიდან გადახვევად და

2 გვ. →

ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს იგივე ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში, რაც ზვიად გამსახურდიამ

1 გვ.

რუსულ ორბიტაზე დაბრუნების მცდელობად შეაფასა და გახარებული და სახეგაბრწყინებული ელოდა როგორ გადააყენებდნენ პოსტიდან პრემიერს, რომელმაც ასეთი „თავხედური“ პოზიცია დააფიქსირა.

იყო ასეთი პოეტი, ალე ფეოდოსიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თქვა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას“.

„ნაციონალები“ კოლექტიური ალე ფეოდოსიშვილები არიან, რომლებიც დასავლეთს არწმუნებენ, რომ ძალაუფლებაში ყოფნის ფასად მზად არიან ნებისმიერი დავალება შეასრულონ, მათ შორის, დედა, სამშობლოც, მოკლან და მამაც ზედ მიაყოლონ.

„ნაციონალები“ პოლიტიკური სპეკულიანტები არიან, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებით და დამოუკიდებლობით ვაჭრობენ.

ამ ფონზე, ნამდვილი გმირობაა ის, რასაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება აკეთებს, თუმცა ამ გმირობას დანახვა, დაფასება, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება საქართველოს თითოეული მოქალაქისგან, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ღირსების საქმეა.

ადრე ნათქვამს გავიმეორებ: „დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო“.

საქართველოს და ქართველი ხალხის გადაკეთების მცდელობაც ისეთივე დანაშაულია, როგორც იუნესკოს მიერ დაცული რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლის გადაკეთება, რადგან საქართველოც, თავისი კულტურით, თავისი ტრადიციებით, თავისი ტოლერანტული ბუნებით, ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმებით, გნებავთ, თავისი დემოკრატიულობით, უნიკალური ძეგლია, ძეგლი-სახელმწიფო, რომელსაც კაცობრიობა ისევე უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლებს უვლის და უფრთხილდება.

საქართველო, არა მარტო, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, არამედ ის თვითონ არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, ცივილიზაციათა შემკრები, ცივილიზაციათა საერთო სახლი, მინი-ევროკავშირი, რომელიც საუკუნეებით ადრე არსებობდა, სანამ ევროპელებს ევროკავშირის დაფუძნება მოაფიქრდებოდათ.

— მე ვარ ევროპელი, მაშასადამე, მე ვარ ქართველი! — როდის იტყვიან ამას ევროპელები, რომლებიც, საქართველოში რომ ჩამოდიან, ქვეცნობიერად, ინსტინქტით, სისხლით გრძნობენ, რომ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ მამის სახლში დაბრუნდნენ...

●

კიდევ ერთხელ ვულოცავ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და მშვიდობას, წინსვლას და განვითარებას ვუსურვებ.

ვახტანგ ხარჩილავა

ტარიელ ჭანტურია

გმირები

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით
ყოველთვის ვცხონდით!..

სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ – თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..

ჩვენ ოცი საუკუნეა ევროპას ველოდებით. იმედია, ისიც მოვა, ჩვენც მივალთ მასთან და ერთმანეთს შევავსებთ

გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:

— ბატონო ედიშერ, რუსეთ-უკრაინის ომი ისევ გრძელდება. რა უძღოდა წინ ამ ყველაფერს?

— ომის დაწყებას წინ უძღოდა ის პროცესები, რაც მე-20 საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისიდან განვითარდა. ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა — ცივი ომი დამთავრდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. ამ უკანასკნელმა ფაქტმა, მთელს დედამიწაზე, არნახული გეო-პოლიტიკური გადატრიალება გამოიწვია. შედეგად, უკვე 30 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ისეთი მსოფლიო სადაც სფეროები გადანაწილებული იქნებოდა, მაინც ვერ ჩამოყალიბდა. სწორედ სფეროების გადანაწილებ-

ბის შედეგს წარმოადგენს ის პროცესები, რაც ამჟამად, უკრაინაში მიმდინარეობს. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ბჟეზინსკი წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ პირდაპირ წერს: ვინც უკრაინას ფლობს, ის, ფაქტობრივად, ევრაზიის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობს და მას მთელ მსოფლიოზე აქვს გავლენაო. ამდენად, პროცესი რომელიც უკრაინაში დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს, მსოფლიო გადანაწილების ორგანული, ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამ პროცესში ძალიან დიდი უარყოფითი როლი შეასრულა უკრაინის პოსტ.კომუნისტურმა ხელისუფლებამ, რომლის სათავეში კრავჩუკი და კუჩმა იდგნენ. საქმე ეხება 1994 წლის დეკემბრის, ბუდაპეშტის ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც უკრაინამ რუსეთს ბირთვული იარაღი გადასცა. ეს გახლდათ ზეწოლის შედეგი, რაც უკრაინაზე აშშ-მ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და თავად რუსეთმა მოახდინეს. იცით, რა წერია ბუდაპეშტის ხელშეკრულებაში? — ჩამოთვლილი ქვეყნები უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ხდებოდნენ. აქ, ჩერჩილის სიტყვები მახსენდება: პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, არამედ არსებობენ ინტერესები. ჩემი შეფასებით, უკრაინის კომუნისტურ ნომენკლატურას ქვეყნის ინტერესებზე მეტად, ფული აინტერესებდა. ამიტომ, უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება საქართველოში კი არ უნდა ეძებდეს მიზეზებს, არამედ მათთან მოიძიოს, ვინც ამ უბედურებას საფუძველი ჩაუყარეს. ამჯერად, ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს პიროვნება, რომელიც ძალიან ადვილად სამართავია. ზოგ ჩვენს თანამემამულეს ასეთი რამ მინდა შევახსენო: როცა ზელენსკის პერსონით აღტაცებულნი არიან, ნუ დაავიწყდებათ, რომ იგი არის პიროვნება, რომელიც 2008 წელს ომში წაგებულ საქართველოს დასცინოდა. კი ბატონო, სააკაშვილი იყო დასაცინი, მაგრამ ზელენსკი, სააკაშვილის გამასხარავებით, მთელ საქართველოს შეურაცხყოფას აყენებდა. აქაც, დიდი წვლილი იმ ძალებს მიუძღვით, რომელთაც იანუკოვიჩის წინააღმდეგ ე.წ. სისხლიანი რევოლუცია მოაწყვეს და ხელისუფლებაში ზელენსკი მოიყვანეს. მათ, საქართველოშიც სურდათ იგივე სიტუაციის მოწყობა, მაგრამ ქართველი ხალხი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ის მწარე მაგალითი გაითვალისწინა, რაც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ სახით თავს დაატყდა და მომდევნო 9 წელი რეჟიმმა ქვეყანა სისხლის მდინარეებით მორწყო. რაც ახლა ორ მოძმე ერს შორის ხდება, სინამდვილეში, დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების შედეგია. ისტორიას განმეორება სჩვევია და ერთ მოვლენას შეგახსენებთ: როცა ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს დაუპირისპირდა, ბრძოლა იმდენად დიდხანს გაგრძელდა, რომ ორივე მათგანი დასუსტდა, რითაც არაბებმა ისარგებლეს. აი, რას წერდა გურამიშვილი ამის შესახებ: „რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს“. არაბებმა, იმდროინდელი, ნახევარი მსოფლიო დაიპყრეს. რუსეთ-უკრაინის ომიც გაჭიანურდა, რაც არც ერთ მხარეს ჰქონდა გათვლილი და არც მეორეს. შედეგად, ყველაზე მეტად მოგებული დარჩება არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი, არამედ ახალი მზარდი იმპერია — ჩინეთი. დიახ, ყველაზე მეტად სწორედ ის მოიგებს. აქვე, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მადლობა გადავუხადო იმ გონიერებისათვის, რასაც იჩენს. ვინაიდან, ამ უზარმაზარ პოლიტიკურ თამაშებში საქართველო ვნებებს არ აჰყვა, რაც ჰორიზონტის ოთხივე მხრიდან მოდის და არ ჩაერთო იმ უბედურებაში, რამაც შეიძლება ჩვენი ქვეყანა პირისაგან მიწისა აღგავოს. დიახ, ეს გვემუქრებოდა და ახლაც, გვემუქრება, მაგრამ საბედნიეროდ, ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ამას არ დაუშვებენ. განა ცოტა შემთხვევა ყოფილა, როცა ხელისუფლებებს ვერ გაუაზრებიათ, რა ელოდათ და თავს ათასი უბედურება დატყდომიათ. ეს ქვეყნები ისტორიიდან წაშლილია. მაგალითად, ფინიკიელები, შუმერები, ხეთები, ძველი რომაელები, რომლებიც ისტორიის სარბიელიდან გაქრნენ. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ომში ჩართვისკენ აქაურ ძალებთან ერთად გარე ძალებიც უკიჟინებენ. აქვე, ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას: როცა 654 წელს საქართველოში არაბები შემოვიდნენ, ქართლის ერისმთავარმა მათთან ხელშეკრულება — დაცვის სიგელი დადო, რითაც ქართლი განადგურებას გადაარჩინა. ახლაც, ამ სიტუაციაში ვართ — უმთავრესი ამოცანა სახელმწიფოებრივი და ფიზიკური გადარჩენაა. უკრაინა ამ ყველაფერს იტანს. იგი, 600 ათას კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული და 44 მილიონი მაცხოვრებლისგან შედგება. ჩვენ, 3,5 მილიონიც აღარ ვართ დარჩენილი.

— როდის ან როგორ დამთავრდება ომი?

— ადრე, ვამბობდი: ერთ-ორ თვეში დასრულდება-მეთქი, მაგრამ ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება, თუმცა, უკვე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დიდი კრიზისული სიტუაცია მწიფდება. ნახეთ, რა ხდება? — გაეროს სასურსათო კომისიის თავმჯდომარე პირდაპირ მიმართავს პუტინს, რომ შავი ზღვის პორტებს ბლოკადა მოხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხორბლის მარაგის საფრთხის წინაშეა არამარტო უკრაინა, არამედ მთელი მსოფლიო. რა შეიძლება მოხდეს ხორბლის მარაგი თუ შემცირდა? — მსოფლიოს შიმშილობა ელის. ეს, უკვე, ამერიკაშიც შეშფოთების საგნად იქცა. როგორც იცით, აშშ-ს სენატმა უკრაინას 40 მილიარდი დოლარი გამოუყო. ამ საკითხზე, უკვე, აზრთა სხვადასხვაობაა. ასეთი დახმარებები აშშ-ში ინფლაციას იწვევს, არადა ამერიკის ხელისუფლება საკუთარ ხალხზეა ორიენტირებული. ამიტომ, ისინი ამას არ დაუშვებენ. თუმცა, მიაქციეთ ყურადღება მეტად მნიშვნელოვან ფაქტს: ომი ისეთ სტადიაში შევიდა, როცა ორივე მხარემ საკუთარი სახე უნდა შეინარჩუნოს. მხედველობაში მაქვს დასავლეთი და რუსეთი. პუტინმა ძალიან შეტოპა. მისი მარცხი ნიშნავს, რომ შეიძლება რუსეთის დაშლა დაიწყოს. დასავლეთისთვის მარცხი კი ევროპაში არაადეკვატურ ქმედებებს გამოიწვევს, პირველ რიგში, ბაიდენის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ბაიდენის რეიტინგი 39%-მდე დაეცა. პუტინის კი, პირიქით, 79%-მდე ამაღლდა. რაშია საქმე? — აქ, უნდა გავითვალისწინოთ ფსიქოლოგია, რაც რუს და დასავლელ ხალხს განსხვავებული აქვს. ასე, რომ ამ ომის დამთავრება ასე ადვილი არ იქნება იმიტომ, რომ დღევანდელი, დე-ფაქტო სიტუაციით, რუსეთს საკმაოდ ბევრი ტერიტორია აქვს უკვე დაპყრობილი, რაც 24 თებერვლამდე ჰქონდა. სიტუაციის შემოტრიალება, ძნელი იქნება. აქვე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავად უკრაინაში ძალიან დიდი კორუმპირებული მაფია მუშაობს. იკარგება ფული, იარაღი, რის გამოც დასავლეთი შეშფოთებულია და ალბათ, მკაცრ მონიტორინგსაც დააწესებს.

— ბატონო ედიშერ, როგორც ისტორიკოსს მინდა გკითხოთ: ერეკლე II უნდა გამოცხადდეს თუ არა მოღალატედ, როგორც ეს ბერძენიშვილმა მოითხოვა?

— ქართველმა ხალხმა თითზე ჩამოსათვლელ მეფეებს სიყვარუ-

5 გვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია, მან უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობის უფლება აქვს

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

— ბატონო ვაჟა, დასავლეთი რუსეთის დასუსტებას სანქციებით ცდილობს. თუმცა, ეს მათ ეკონომიკასა და კეთილდღეობაზეც ხომ აისახება. ზოგადად, რას გამოიწვევს მსოფლიოში ეს პროცესი?

— თავისთავად ცხადია, სანქციები დღევანდელ მსოფლიოში სერიოზული ფაქტორია, მით უმეტეს, როცა ამას წამყვანი ეკონომიკების მქონე ქვეყნები ერთ, ცალკე აღებულ რუსეთს უწესებენ. ფაქტობრივად, ომით გამოწვეული სანქციების შედეგად, ორი ეკონომიკა სერიოზული დარტყმის ქვეშ არის. შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკისთვის პრობლემა არამარტო სანქციებია, არამედ ორი ეკონომიკის სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩენაც. მოგეხსენებათ, დღევანდელი ეკონომიკის პირობებში, გლობალიზაციის გარკვეული დონიდან გამომდინარე, რუსეთის ეკონომიკის გამოთიშვა, რა თქმა უნდა, მისთვის საზიანოა, მაგრამ დანარჩენი ეკონომიკებისთვისაც სერიოზულად დამაზიანებელია. აქ, მხოლოდ ნავთობის და გაზის თემას როდი ვგულისხმობ, რომლის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი დასავლეთისთვის რუსეთია. ცხადია, ეს ვითარება სერიოზული საფრთხის შემცველია. აქვე, უკრაინა გახლავთ მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის მიმწოდებელი, რასაც დიდი ოდენობით მოიხმარს, განსაკუთრებით, მესამე სამყარო ანუ, განვითარებადი ქვეყნები. ასე, რომ შესაძლოა სასურსათო კრიზისიც შექმნას როგორც საქართველოში, ასევე, დასავლეთშიც. ამიტომ, ეს გლობალური პრობლემაა. აქვე, უნდა გავიაზროთ ისიც, რომ ომს წინ ორი წელი პანდემია უძღოდა. გლობალური ეკონომიკისთვის, ეს, დიდი სტრესი და სირთულე, რასაც რუსეთ-უკრაინის ომი დაერთო. ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკებისთვის სრულიად ახალი ვითარებაა. საფრთხე სერიოზულია, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, აქცენტი ომის შეჩერებაზე გაკეთდეს და არა შემდეგზე — ადრე თუ გვიან რუსეთი აუცილებლად დამარცხდებაო. თუ რუსეთი არ დამარცხდება, ეს კიდევ უფრო დიდი საფრთხე იქნება ომში მონაწილე იმ ქვეყნებისთვის, ვინც ეკონომიკას ქმნის. რაც მთავარია, ჩვენ, უნდა გვინდოდეს ომის შეჩერება ისე, რომ უკრაინა არ დამარცხდეს — მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელყოფილი არ იქნას და მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება დაიწყოს. ომი უნდა შეწყდეს, სხვა შემთხვევაში ტრაგედია კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. თავად, დასავლეთიც აღიარებს, რომ სანქციები ის უნივერსალური მექანიზმი არ არის, რომელიც მხოლოდ ერთ მხარეს აზიანებს. მას ორლესული ფორმა აქვს. სანქციების დამწესებელი მხარე, განსაკუთრებით, ბიზნესი, სერიოზულად ზიანდება. საბოლოო ჯამში, ეს შედეგს ვერ იძლევა. ჭკუადმყოფელი ადამიანი ძნელია ასეთ რამეს მოელოდეს, რომ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს. რუსეთის ეკონომიკის მედეგობა სანქციებისადმი, საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, დასავლეთმა აქცენტი სანქციებზე კი არა, არამედ კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებაზე უნდა გააკეთოს, რაც რუსეთს იზოლაციაში მოაქცევს და საბოლოო ჯამში, მის ეკონომიკას სერიოზულ ზიანს მიაყენებს, რასაც ჯერჯერობით, ჩვენ, ვერ ვხედავთ.

— ბატონო ვაჟა, ბლინკენმა პუტინს მოუწოდა: შავი ზღვის პორტებს ბლოკადა მოხსნას. ამ კუთხით, როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?

— მოვლენები განვითარდება ისე, როგორც დღემდე იყო. მოდით, პროცესს ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციიდან შევხედოთ. საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ბლინკენის მოწოდებას, კაპიკის ფასი აქვს. იმიტომ, რომ რუსეთი თუ იძულებული არ იქნა ეს მოთხოვნა შეასრულოს, ის ამას კეთილი ნებით არ გააკეთებს. მართალია, პუტინმა ამ დაპირისპირებას სამხედრო ოპერაცია დაარქვა, მაგრამ სინამდვილეში, ეს სრულმასშტაბიანი ომია. ომის პირობებში ძნელია რუსეთს მოსთხოვო: ტერიტორიებს რომ აიღებ, მერე, მიდი და იქ რაც მარცვლეულია სულ კაკალ-კაკალ ჩააბარე უკრაინელებს, რათა მსოფლიო ბაზარზე გაიტანონო. რა თქმა უნდა, ასე არ ხდება. ბუნებრივია, რუსები ომის დასრულებამდე არ გახსნიან იმ პორტებს რასაც აკონტროლებენ და მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის გატანის საშუალებას არ მისცემენ. ამაზე ფიქრი, არასერიოზულია. მაგრამ ჩვენთვის უცნობია — იქ მყოფი სამხედრო კონტინგენტი, მთლიანად, ტყვედ ჩაბარდა თუ რაიმე ოპერაცია განხორციელდა. არც ის ვიცით, სად არიან ლიდერები. პროპაგანდისტული ომის გავლენის ქვეშ ვართ და არ ვიცით: სად არის სიმართლე. ამიტომ, ბლინკენის მოწოდება ჰაერში ნასროლი სიტყვებია, სხვა არაფერი. რუსეთი ამ მოთხოვნას რომ დასთანხმდეს, მოტივაცია უნდა ჰქონდეს. დიახ, ასე მარტივად უკრაინელებს უფლებას არ მისცემს ხორბალი გაიტანონ, რათა მთელი რიგი ქვეყნები არ დაიმშნენ, მათ შორის, აფრიკა. ეს მარტივი საკითხი არ არის.

— ამ ფონზე, ნაცები ხელისუფლებას მოუწოდებენ: რუსეთს სანქციები დაუწესოს.

— სანქციებთან მიერთების მომხრე არ ვარ. ხელისუფლებას ვეთანხმები, ეს სწორი ნაბიჯია, რადგან სანქციებს რეზულტატი უნდა მოჰქონდეს. ხომ უნდა დავფიქრდეთ: რას დაკარგავს რუსეთი სანქციებთან ჩვენი მიერთებით? —არაფერს, ხომ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სანქციებს არ მიერთებია არც თურქეთი, არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი. ახლა დავსვათ კითხვა: ჩვენ, რას დავკარგავთ? — რა თქმა უნდა, ბევრ რამეს. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ნიშანი — „ბორჯომი" გაჩერდა. ღვინის, ციტრუსის, ზოგადად, ხილის ბაზარი, ძირითადად, რუსეთია. ანუ, ეკონომიკის ეს სეგმენტი მთლიანად მოიშლება. ყოველივეს სანაცვლოდ, რას ვთავაზობთ ხალხს, რომლის დიდი ნაწილი ისედაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა? — აა, ჯერ უბრალოდ, შევუერთდეთ სანქციებს, დავიწყოთ ომი და მერე გამოჩნდება რა უნდა ვქნათ?! რუსეთი უკრაინაზეც კი ოთხჯერ დიდია. ეკონომიკის მცოდნეებმაც და პოლიტიკოსებმაც ერთი რამ გავაცნობიეროთ: იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოშობილმა სახელმწიფოებმა უნდა დაასაბუთონ, რომ მათ არსებობის უფლება და საშუალება აქვთ, როგორც ეს წარსულში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიიდან დაწყებული ხდებოდა, როცა რამდენიმე ქვეყანა შეიქმნა, მაგრამ არსებობა მხოლოდ ერთმა შეძლო. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოიშვა ქვეყნები, რომელთაც ასევე უნდ დაასაბუთონ, რომ არსებობა შეუძლიათ. ყაზახეთის მოვლენები კარგად აჩვენებს, რომ ნაზარბაევის კლანის მიერ შექმნილი სახელმწიფო, ერთ დღეს კინაღამ ჩამოიშალა. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს, უნდა დავასაბუთოთ: გვაქვს თუ არა არსებობის უფლება ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით. მოსახლეობა ისედაც განახევრებულია. მილიონნახევარი მოსახლე კიდევ მოაკლდება საქართველოს და შედეგად, რას მივიღებთ — ტერიტორიას?! — ალბათ, დემოგრაფიულად ჭარბი და აქტიური რეგიონებიდან გადმოსული აზიის, აფრიკის მოსახლეობა! ჩვენი ეროვნული ინტერესები სადღაა? ამიტომ, თუ გადაუდებელი აუცილებლობა არ დაგვიდგა, რუსეთთან ომში ჩაბმისკენ თავი უნდა შევიკავოთ.

ჩვენ, ვიცით რას ნიშნავს უფროსი ძმის კომპლექსი. რუსეთი იყო ჩვენი უფროსი ძმა, რაც უფრო კარგად გამოვიყენეთ, ვიდრე მათ გამოგვიყენეს თავიანთი იმპერიული ზრახვებით. ახლა, ვიღაცას, ეტყობა ისევ უფროსი ძმის კომპლექსი აქვს. ამ შემთხვევაში, უკრაინას ვგულისხმობ. მავანმა გადაწყვიტა, რომ მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ. მაინტერესებს: არსებობს ხელმოწერილი რომელიმე სამხედრო პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც გვავალდებულებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცეცხლი გავხსნათ და უკრაინას დავეხმაროთ. ასეთ დოკუმენტს, არ ვიცნობ. აბა, რას ნიშნავს ეს მოწოდება? ამ ეტაპზე, ავირჩიეთ შემდეგი სტრატეგია: აფხაზეთს და სამაჩაბლოს მშვიდობიანი გზით დავიბრუნებთ. უკვე 14 წელია ამას ვამბობთ და ახლა, უცებ, გამოვაცხადოთ: რუსეთთან ომში ვერთვებითო?! ასე მარტივად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ვერ ვიფიქრებთ.

დასავლეთი, მათ შორის, თურქეთი ყველა გამოსვლაში იმეორებს: ჩვენ, ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო. ჩვენ, დასავლეთთან, თურქეთთან, ირანთან მეგობრობა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, ფილიგრანული პოლიტიკური კურსით და ეკონომიკური პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა მოვახდინოთ. ჩვენი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, ენგურჰესის ჩათვლით, წინა ხელისუფლებამ რუსეთს გადასცა. ამას გააზრება უნდა — ქვეყანას ფრონტს რომ უხსნი, მთელი ენერგეტიკული ობიექტები ხომ მათი კონტროლის ქვეშაა?! ბოლო წლებში, რუსეთის წილი, გაზის, ნავთობის მოწოდებაში, გაიზარდა. ამ რთულ პროცესში, მეშინია, ჩვენს სახელმწიფოებრიობას მძიმე პერიოდი არ დაუდგეს.

— წეღან ახსენეთ: რუსეთი ასე მარტივად არ დაიშლებაო. ასეც რომ მოხდეს, ყოველივე, ჩვენ, რას მოგვიტანს?

— ამიტომ მოაგ ხსენეთ, ფილიგრანული ტექნიკის მქონე პოლიტიკოსების არსებობის აუცილებლობაზე. რუსეთთან, ჩვენი ელიტის დღევანდელი დამოკიდებულება, ძირფესვიანად გადასახედია. იმიტომ, რომ ჩვენ დამპყრობლებისგან, სკვითებით დაწყებული კიმერიელებით დამთავრებული, რომელთაც საქართველოს გადაუარეს, ყველაზე მეტი სარგებელი რუსეთისგან ვნახეთ. რუსეთის იმპერიის წიაღში, დამორჩილებულებმა, ანექსირებულებმა შევძელით საქართველოს კულტურულად, ისტორიულად შეკრება და ფაქტობრივად, ქვეყნის ფერფლიდან აღდგენა. რა შეძლეს ქართველებმა ოსმალთა იმპერიის წიაღში? — ვერაფერი, ხომ. ამ ყველაფრის აწონ-დაწონვაა საჭირო. რაც ჩვენ რუსეთის, საბჭოთა იმპერიის წიაღში შევძელით, ახალ, იმპერიულ რუსეთთან ურთიერთობაშიც უნდა შევძლოთ. დაიშლება თუ არა რუსეთი, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ჩემი აზრით, მინიმუმ 50 წელი რუსეთის დაშლა ნაკლებად მოსალოდნელია. იმ რეალობიდან უნდა ამოვიდეთ, რაც გვაქვს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



ჩვენ ოცი საუკუნეა ევროპას ველოდებით...

3 გვ.

ლით ზედმეტი სახელები უწოდა. ასეთებია: ფარნავაზ მწიგნობარი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი და ერეკლე II — პატარა კახი. უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მოამაგე — ერეკლე II როლი. რუსეთი მე-18 საუკუნეთა მიჯნაზე, კავკასიაში მაინც მოდიოდა. ერეკლე II მისი შეჩერება დიპლომატიით ანუ, გეორგიევსკის ტრაქტატით სცადა. გავიხსენოთ, იმდროინდელი მსოფლიო. ერეკლე II ევროპაში ელჩები გაგზავნა. ვინმე დაეხმარა?! ერთ მხარეს იყო ოსმალეთი, მეორე მხარეს — ირანი. 1555 წელს ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, დასავლეთ-საქართველოს ოსმალეთი იჩემებდა, აღმოსავლეთს ირანი. ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო. ერეკლეს შვილებიდან ყველას ტახტის დაკავება სურდა. ამას ემატებოდა რუსეთი, რომელიც ჩვენსკენ ისედაც მოიწევდა. იგი, მაშინ მზარდი სახელმწიფო იყო, რომელსაც კავ-

კასიაში, უკვე, თავის ინტერესები ჰქონდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთ-კავკასიის გასაღები საქართველო იყო. ამიტომ, რუსეთმა საქართველოში დაზვერვაც გამოგზავნა, რათა გაეგო: კონკრეტულად, რა ინტერესების გამო უნდა შემოსულიყო. საქართველო, კავკასია მისთვის ფორ-პოსტი იყო სამომავლოდ დასაპყრობი ტერიტორიებისთვის. კერძოდ, რუსულ იმპერიულ სულს ინდოეთის ოკეანემდე უნდოდა გასვლა. აბა, მითხარით: ვინმე იყო ხელშემშლელი? ერეკლემ ყოველივე მშვენივრად გააანალიზა და რუსეთის შეჩერების ერთადერთი გზა დაინახა — ეს იყო გეორგიევსკის ტრაქტატი. ანუ, მან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. თუმცა, რუსეთმა გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა და არც შეასრულებდა. ჩვენ, ერთი რამ ვერ გაგვითვალისწინებია — რუსეთი დამპყრობელი იყო. რატომ ვთხოვთ დამპყრობელს კეთილად მოგვექცეს?! ასეთი რამ, არსად მომხდარა! გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, საქართველოზე რუსეთის პროტექტორატი უნდა გავრცობილიყო. მან, რა თქმა უნდა, ეს არ შეასრულა. შეგახსენებთ, მაშინ საქართველოს მოსახლეობა 600 ათასს შეადგენდა. მძიმე მდგომარეობა იყო. იმ პერიოდში ირანი და ოსმალეთი საქართველოს ქართული კულტურის გაქრობით ემუქრებოდნენ. მართალია, რუსეთმა საქართველო მიიერთა და ისეთი რაღაცები გააკეტა, რაც არცერთ დამპყრობელს არ უქნია — გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ბაგრატოვანები რუსეთში გადაასახლა და რაც ყველაზე შემაშფოთებელია ავტოკეფალიური ეკლესია გააუქმა, მაგრამ მეორე მხრივ, რუსეთის შემოსვლამ საქართველოს დაკარგული მიწები შემოუერთა. რა თქმა უნდა, ეს რუსეთს საქართველოსთვის არ გაუკეთებია, არამედ ასე საკუთარი იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე მოიქცა. კერძოდ, მხედველობაში მაქვს სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის შემოერთება. საქართველომ ამით საკმაოდ იხეირა. ანუ, ქვეყანას ისტორიული ქართული მიწები შემოუერთდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ამას ილია ჭავჭავაძე მიესალმა, რომელიც აჭარის დაბრუნებით გახარებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ხალხი არ შეგუებია რუსეთისგან დაპყრობას — მან, იმდღიდანვე სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც და გასულ საუკუნეში დამოუკიდებლობა ორჯერ დავიბრუნეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ერეკლეს პოლიტიკამ, მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, რაშიც საქართველო მე-19 და მერე, მე-20 საუკუნეში აღმოჩნდა, უაღრესად დადებითი როლი ითამაშა. მაგალითისთვის ესეც კმარა: 1989 წელს 600 ათასიდან საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონამდე გაიზარდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ ვთქვათ: როდესაც ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატს დებდა, ამ პერიოდისთვის ინგლისელები ინდოელებს იპყრობდნენ, სადაც 400 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. აბა, დამისახელოს ვინმემ, ანალოგიური დოკუმენტი თუ დაიდო ინგლისსა და ინდოეთს შორის?! ერეკლე II 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. 15 წლის ასაკიდან მოყოლებული, თითქმის, სიკვდილამდე, ხელიდან ხმალი არ გაუგდია. როცა ტანისამოსი გახადეს, მის სხეულზე ხმლით ნაიარევი 80 ჭრილობა აღმოჩნდა. ყველამ ვინც ამ პერიოდს შეეხება, კარგად უნდა გაიაზროს: რა ხდებოდა იმდროინდელ საქართველოში. რუსეთთან დადებული ხელშეკრულება იძულებითი ნაბიჯი იყო. ერეკლე II ასე რომ არ მოქცეულიყო, საქართველოს ის ორი ვეშაპი შთანთქავდა, რასაც ირანი და ოსმალეთი ერქვა.

1453 წლის 29 მაისს, როცა თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, საქართველოსთვის ევროპა ჩაიკეტა, ხოლო 1475 წელს, როდესაც ყირიმს დაეპატრონენ, ჩვენი ქვეყნისთვის შავი ზღვა ოსმალეთის ტბად გადაიქცა. ოსმალების გარეშე ევროპაში გასვლის შანსი არ იყო. ევროპისგან მოწყვეტა კი, შინაგან ნაჭუჭში ჩაკეტვას ნიშნავდა. 1783 წელს გადადგმულმა ნაბიჯმა გზა მოგვცა ევროპულ კულტურას ვზიარებოდით. ხომ გახსოვთ, გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: თქვენ, საქართველო 2000 წელი გელოდათო. დღესაც იგივე სიტუაციაა — ევროპას ველოდებით. იმედია, იგიც მოვა, ჩვენც მივალთ და ერთმანეთს შევავსებთ.

ერთ მნიშვნელოვან თემასაც მინდა შევეხოთ: ვინც ამბობს რუსეთთან ლაპარაკი არ გვინდაო, პოლიტიკურ ბრიყვად მიმაჩნია. რუსეთს ამ გეო-პოლიტიკური სივრციდან ვერავინ გადადგამს და ვერც საქართველოს წავიღებთ ავსტრალიაში. ამიტომ გვინდა თუ არა, რუსეთს უნდა ვესაუბროთ. დამისახელეთ მსოფლიო ისტორიაში რომელიმე ომი, რომელიც მოლაპარაკების გარეშე დამთავრდა? კაპიტულაციასაც კი მოლაპარაკებაზე ეწერება ხელი. უნდა დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკებები, მოლაპარაკებები და კიდევ მოლაპარაკებები. როცა შესაბამისი ვითარება იქნება, უნდა ვეცადოთ პოლიტიკურადაც და ისტორიულადაც მზად ვიყოთ, რათა დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ. რაც მთავარია, ეს მშვიდობიანი გზით უნდა გაკეთდეს, რადგან ჩვენ, მხოლოდ ტერიტორიები არ გვჭირდება, არამედ იქაური მცხოვრები გაუცხოებული თანამოქალაქეების ჩვენთან დაბრუნება. ვიმეორებ, საკითხის მოგვარებას დრო და მოლაპარაკებები სჭირდება. ისტორიაში უარესებიც მომხდარა. საფრანგეთმა ელზასი და ლოტარინგია 40 წლის მერე დაიბრუნა.

— რუსეთის დაშლის თემა აქტუალურია. ჩვენ, ასე მუსულმანური სამყაროს რკალში ხომ არ აღმოვჩნდებით?

— სრულიად გეთანხმებით. გარდა ამისა, სად წავლენ ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკები? — მათ ერთადერთი წასასვლელი საქართველოსკენ აქვთ. ასევე, არ დაგვავიწყდეს დიდი თურანის იდეა, რომელიც ცოცხლობს. მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, როცა ახალი მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბებული არ არის. არც წითელი ხაზები არ არის დადგენილი. ასე, რომ ეს დასაფიქრებელია. **ადამიანები, რომლებიც დღეს საქართველოს ხელისუფლებას ეწინააღმდეგებიან და მისი ქმედებების უცხოეთში დასმენით არიან დაკავებულნი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ისინი საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის მტრები არიან.**

თამარ შველიძე
555 23 28 24

ოთარ ჭილაძე

* * *

შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,
გულზე არხლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,
დაულეველო სამშობლოვ ჩემო!

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნელად ვარ ბედნიერი.

შოთა ნიშნიანიძე

როცა მე გარდავიცვალე

როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორი,
ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში - შვილი და ცოლი,
შემიდგნენ არაგველები, თავის მგალობლის ცხედარს,
ფარებზე გადამაწვინეს და წამასვენეს მცხეთას.
- საით, ბიჭებო, - გავძახე...
მითხრეს: უფლისა ნებით,
იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით...
მე ჩავუარე ბავშვობას, - ბურთს თამაშობდა მინდვრად,
ადგა და გამომეკიდა, ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.
გადავუფრინე ციხეებს,
მთალად საქართველოს სერებს.
- ისე იყავით, კარგებო, როგორც გხატეთ და გწერეთ...
რა კარგი იყავ, სიცოცხლევ, ვერ მოგიყირჭე ქებით,
მტრებიც კი მყავდნენ კარგები, არათუ მარტო ძმები.
მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, ველარ გიხილავ ხვალე,
ფალავნების და მგოსნების სტუმართმოყარე მხარე.
სულმა დავლოცე ცოლ-შვილი და პატიებაც ვთხოვე
ჩემი ცხოვრების სიხარულთ,
ჩემს ჯვარს და სვეტიცხოველს.
როცა მე გარდავიცვალე, იქ დავიბადე მყისვე,
ჩემი გვარის და სახელის ვიღაც ატირდა ისევ.
იტირე, ჩემო პატარავ,
გამახარე და მტანჯე,
ტირილით უთხარ მადლობა ჩვენს მარადიულ გამჩენს...

მურმან ლებანიძე

უფლისციხესთან...

უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის -
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია
ორ ზღვას შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი
სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

ამბავი ეკასი, გედეონისა და მავან სანდროსი შავნოდარას გადაცემაში, ანუ როგორ გავხდი რუხი კარდინალი!

გელა ზედელაშვილი:

გამარჯობა, მეგობრებო... ნება მიბოძეთ, ახალ „ამპულაში" წარმოგიდგეთ – სიმართლე გითხრათ, ამ საიდუმლოს გამჟღავნებას ჯერ არ ვაპირებდი, მაგრამ რაკი შავმა ნოდარამ ნიღაბი ჩამომხსნა, სხვა გზა აღარ მაქვს.

უკაცრავად... შავი ნოდარა ვინ არი?

ოოო... შავი ნოდარა, ანუ შავნოდარა ის არი, „ჭუტავიზიაში" (ე.წ. „ტვ პირველში" გადაცემა რომ მიჰყავს და იმ გადაცემას თავისივე სახელი ჰქვია – „ნოდარ მელაძის შაბათი". ჰა, ჰა, ჰა... მელაძეს შაბათი ვინ მისცა, მაგ მძიმე მუსიკაზე დაბადებულსა და ბალღობისას თავში ჩარტყმულს?!

მოკლედ, თავს აღარ შეგაწყენთ გადახვევებით, პირდაპირ საქმეზე გადავალ: წინა კვირის ოთხშაბათსა თუ ხუთშაბათს (ზუსტად აღარ მახსოვს) კარზე დამიკაკუნეს. გაღება მეზარებოდა, მაგრამ ამ რიცხვებში გაზის ქალმა, ანუ გაზის აღმრიცხველმა იცის ხოლმე ჩამოვლა და ეხლაც ის მეგონა. „გლაზოკში" გავიხედე, ქალი დგას, ხელში პასტა და „ბლოკნოტი" უჭირავს. გავაღე, მობრძანდით-მეთქი. არა, თქვენ გადმოდგით ნაბიჯი აქეთო. გავიხედე, გვერდით „კამეროსანი" ღლაპი უდგას და იღებს.

ქალმა დაიწყო: ბატონო გელა, თქვენი შპს „ლიდერი – ექსპრეს ინფოა", ხომ? სწორად მოვედით? თქვენ დირექტორი ხართ? ეს შპს „ექსპრეს ინფო" რა არი? 2012 წელს თქვენ სტატიებს ირაკლი ღარიბაშვილის დაკვეთით წერდით? ახლაც წერთ? თეა წულუკიანზე რომ დაწერეთ, საწოლში საყვარელი ჰყავსო და შემდეგ აღარ დაგიწერიათ, ღარიბაშვილმა აღარ დაგიკვეთათ? ბატონო გელა, ფულს პირადად პრემიერ-მინისტრი გიხდიდათ თუ ვინმეს ატანდა?!

ბიჯოოო... გავოგნდი, ქალი ისტერიკაშია, ცოტაც და სადარბაზოს კედლებზე დაიწყებს ცოცვას. ამ დროს ჩემმა ვაჟმა გამოიხედა, ჯერ იმას შეხედა, მერე მე შემომხედა, უკან გამწია და კარი ჩაკეტა. მე კარს აქედან დავრჩი. ეს ელაპარაკება, საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი მე ვარ და მელაპარაკეო. არა, ქალი გიჟდება: ბატონო გელააა... ბატონო გელაააა... მე თქვენთან მინდა ლაპარაკიიიი, გთხოვთ, გამოდიიიიიით!!!

თორნიკე ელაპარაკა, აუხსნა, გაუბრაზდა, ვერაფერი გააგებინა, ჩაიხვია, გინდა თუ არა, ბატონ გელასთან მინდა ლაპარაკიო. მას რომ დაერეკა, შეეთანხმებინა, ნორმალურად აეხსნა, რა უნდოდა, რა თქმა უნდა, დაველაპარაკებოდი და ყველა შეკითხვაზე ვუპასუხებდი, მაგრამ ის აშკარად საპროვოკაციოდ იყო მოსული. ქალი წავიდა, „კამეროსანიც" გაჰყვა ტუსტუსით. დაიბარა, ხვალ ისევ მოვალო. ჩემი ვაჟი ეუბნება, შენ თუ ამის შემდეგ აქ კიდევ მოხვალ, ყოჩაღ, მაგარი უთავმოყვარეო ყოფილხარო. იმან, ასე რატომ მელაპარაკები, ვინ გგონივარო? ამან, მე არავინაც არ მგონიხარ, ერთი რიგითი პროვოკატორი ხარო. ამ ქალის ვინაობა არ ვიცოდი, არ უთქვამს, არც საბუთი წარმოუდგენია, შემდეგ გავარკვიე, რომ ვინმე თამთა ყოფილა დოლენჯაშვილი „ჭუტავიზიიდან".

დროა, მკითხოთ: დასაწყისში ახალი „ამპულა" და ჩამოხსნილი ნიღაბი რომ ახსენე, რას გულისხმობდი, გაუმჟღავნებელი საიდუმლოს არსი რაში მდგომარეობსო?

რაში მდგომარეობს და... მე ვარ რუხი კარდინალი. ეგე, ეხლა ავდგები და საკუთარი ხელით ჩამოვიძრობ ნიღაბსაააა! ესე იგი, როგორც შავი ნოდარა ამტკიცებს, 2012 წლის შემოდგომიდან, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, თუ იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს რომელიმე მინისტრის გამწარება ან სახლში გაშვება მოუნდებოდა, ამას აკეთებდა ჩემი ხელით. შემდეგ ასევე იქცეოდა მისი მემკვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი. სხვათა შორის, ისინი არა მხოლოდ სტატიებს მიკვეთავდნენ, ხშირად მეკითხებოდნენ, ამ კვირაში რომელი მინისტრი გავამწაროთო? ჰოდა, ერთხელ, 2013 წლის სექტემბერი ყოფილა (აღარც კი მახსოვდა), ირაკლი ღარიბაშვილს თეა წულუკიანის „ჩაქოლვა" განუზრახავს და ეს საქმე ჩემთვის დაუვალებია. არ დაგავიწყდეთ, თან ფულიც გადაუხდია. შავი ნოდარა თანხის რაოდენობას ვერ ასახელებს. მე როგორ უნდა „ჩამექოლა" წულუკიანი? პრესაში, ანუ იმ გაზეთში, რომელშიც მაშინ ვმუშაობდი, ძალზედ ცუდი რამეები უნდა დამეწერა. პრემიერს ჩემთვის უკითხავს, გინდა მაგ ქალზე სკანდალური ინფორმაცია მოგაწოდოო? მე მითქვამს, რა თქმა უნდა, რაზეა ბაზარი-მეთქი? იმას უთქვამს, ერთი საათის წინ მოვუსმინე ფარულად, როგორ შეიკეტა წულუკიანი თავის კაბინეტში თანამშრომელ ნუგზარ კაკულიასთან ერთადო. შავნოდარას მტკიცებულებით, მე ვიდექი და მხრებს ვიჩეჩავდი, ვააა, მართლა-მეთქი? იმას უთქვამს, მართლა, ხო იცი, მე ტყუილს არ გეტყვი, ეხლა წადი და დაწერეო. წამოვედი, დავწერე, გამოვაქვეყნე, მაშინ ხმა არავის ამოუღია, გავიდა დრო, თეა წულუკიანი და ის ბიჭი შეუღლდნენ, მგონი ქორწილიც გადაიხადეს, 9 თვის თავზე კი ვარსკვლავივით ბავშვიც გააგორეს.

მოდით, აქ ცოტა ხნით შევყოვნდეთ... მინდა, ჩემი მაშინდელი საქციელი გავაანალიზო: ესე იგი, რაც მე დავწერე, არ ყოფილა ჭორი და მოგონილი, რამდენიმე თვეში შედგა ქორწინება. აი, აქ ჩემი „ცუდობა" რაში გამოიხატება? არც არაფერში!

გარდა ამისა, შავნოდარას „სასტავი" იმ მხრივაც ცრუობს, რომ როცა მე ეს დავწერე, ირაკლი ღარიბაშვილი ჯერ პრემიერ-მინისტრი არ იყო, ის გახლდათ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ნოდარას გადაცემაში, რომელიც წინა შაბათის საღამოს „ჭუტავიზიით" გავიდა, მოწმეებიც მოიყვანეს – „ოცნების" ყოფილი დეპუტატები, ეკა ბესელია და გედეონ ფოფხაძე. დამრჩა შთაბეჭდილება, ეს სიუჟეტი მომზადდა გედეონის ინიციატივითა და მონახაზით, ანუ სცენარით. მისი თქმით, თურმე მე ძალიან ცუდ საქმეში ვიღებ ანაზღაურებას... თურმე მასზეც დამიწერია ბინძური სტატია, რომელიც არ წაუკითხავს, რადგან არ არის მაღალი ლიტერატურული ღირებულებისა. როგორც ჩემი და გედეონის საერთო ნაცნობები მეუბნებიან, ის მხოლოდ თეონა დოლენჯაშვილისა და ლაშა ბუღაძის მაღალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს კითხულობს და ამიტომაც აზროვნებს ასე სხარტად. ისე, ხუმრობა იქით იყოს და... გედეონზე დაწერილი რეპლიკა რატომ უნდა იყოს ლიტერატურული ნაწარმოები, ვერ მეტყვით?

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ყოფილი დეპუტატი გედეონ ფოფხაძე ჩემს მიმართ გაცოფებული გახლავთ და ამიტომაც გადამიხადა „სამაგიერო". საკითხი გაუგებარი რომ არ დარჩეს, ბარემ აქვე შეგახსენებთ, რატომ მივაპანღურე იგი. ამას წინებზე ტელევიზორში გამოიყვანეს და ასეთი რაღაცა „წამოაწვინა": ისაო, როცა ქართველებს ჯალალედინმა ხატი დაუდო და უთხრა, ფეხი დააბიჯეთო, იქ ღარიბაშვილი რომ მდგარიყო, ეტყოდა, დააბიჯეთ ფეხი და წამოდით სახლში მშვიდობითო. ეს რეპლიკა გედეონმა უკრაინასთან დაკავშირებით წამოისროლა. მისი გაგებით, ჩვენი პრემიერი მშიშარაა, რუსეთს არ ებრძვის. მე კი ამის გამო იძულებული გავხდი, მისთვის ბოლმის ბუკეტი მეწოდებინა და მეთქვა, რომ სანამ ირაკლი ღარიბაშვილს ახსენებდა, პირი გამოერეცხა. გედეონსაც ომი სწყურია, ომზე ოცნებობს და რაკი საქართველოს ხელისუფლება არ იწყებს, ნერვიულობს. წავიდეს და იომოს, განა ვინმე უშლის? არა, თავის ხარჯზე არ უნდა, ნარი სხვამ უნდა გლიჯოს, ქვეყანა რუსეთს შეაწყვიტოს, რათა მერე მღვრიე წყალში ერთი თევზი მაინც დაიჭიროს. წინა ნომერში დავწერე და გავიმეორებ: გედეონი 2012-ში წაიყვანეს „ქართულ ოცნებაში". ჩააცვეს, დაახურეს, დააპურეს, მოაფერიანეს, გაასუქეს (ჩხირივით იყო), იფიქრეს, კაცად ვაქცევთ, ლაპარაკს ვასწავლით, ცოტა აზროვნებასაც დავუხვეწავთ, რამეში გამოვიყენებთო. თქვენც არ მომიკვდეთ, გედეონი ვერა და ვერ გასცდა ნიკა გვარამიას დონეს, ვეღარ გამოძვრა მისი ოფლიანი უბიდან, იქ დარჩა. ახლა ეს უდღეური ისეთ ადამიანს მიადგა, მისი ჩრდილის ფასიც რომ არ არის. იმ კაცს ეტოლება, მის ხსენებას პირის გამორეცხვის გარეშე რომ ვერ უნდა ბედავდეს. ღარიბაშვილი ხატს ფეხს დააბიჯებდა და სახლში მშვიდობით წავიდოდა, ხალხსაც ამას მოუწოდებდაო.

გედეონს ერთხელ შევახსენე და კიდევ შევახსენებ – ჯალალედინი საქართველოს პირველად 1225 წელს შემოესია. იყო ღალატი, ქიშპობა, გაუგებრობა და ამიტომაც დავმარცხდით. თუმცა მას დედაქალაქი არ აუღია. შემდეგ ის ბარბაროსი ხელახლა 1226 წელს შემოიჭრა და... ისევ იყო ღალატი – თბილისის კარი მუსლიმებმა გაუღეს.

დარწმუნებული ვარ, მაშინ

გედეონი მთავარ კართან მცველად რომ მდგარიყო, ჯალალედინს კარსაც გაუღებდი და მტვრიან ფეხებსაც აულოკავდა. ადამიანს ომი უნდოდეს საკუთარ ქვეყანაში, აბა, ასეთი სხვანაირად მოიქცეოდა?!

აი, ეს რეპლიკა იუკადრისა გედეონმა. მე მის შესახებ 10 წლის განმავლობაში არც ცუდი დამიწერია, არც კარგი. მასთან მხოლოდ ერთი ინტერვიუ მაქვს ჩაწერილი 2012 წელს და ისეთი უინტერესო, ისეთი ტრაფარეტული აზროვნების ტიპია, მეორედ აღარ გამჩენია სურვილი, დავკონტაქტებოდი.

მეორე მოწმედ, როგორც გითხარით, ეკა ბესელია მოიყვანეს, რომელმაც საკუთარი წარბები მოზიდული მშვილდივით შეჰყარა და დაიწყო ჩემი მხილება. ჩემო თანამოქალაქენო, თქვენ არ იცით, როგორ ვუყვარდი იმ პერიოდში და როგორ ვენატრებოდი. დიახ, იმ პერიოდში, როცა (თურმე) ბინძურ სტატიებს ვწერდი. მაგალითად, როდესაც ერთხელ მას „დასცხეს“ და მე გამოვექომაგე... როდესაც დეპრესიაში ჩავარდნილს დავურეკე და ვანუგეშე, ასეთები მომწერა... ნახეთ, საკუთარი თვალით წაიკითხეთ (სასვენი ნიშნები სწორად მე დავუსვი, თქვენ გცემთ პატივს, რომ წაკითხვა არ გაგიჭირდეთ):

„გელა, დიდი მადლობა შენი გუშინდელი ზარისთვის... შენი პოზიციისთვის და ზნეობრივი დამოკიდებულებისთვის... არც გამკვირვებია შენგან. ყოველთვის მჯეროდა შენი დამოკიდებულების, გულწრფელობის, შენი პროვნების.... მართლაც დიდებული ადამიანი ხარ... გული შეიძლება არ უნდა გეტკინოს, როცა უღირსად გექცევიან, მაგრამ ადამიანი, რომელმაც იცის, რომ სიცრუეს გაბრალებს და ამას შეგნებულად აკეთებს... ოოოო... ეს ბოროტებაა... არ ვუპასუხე შეგნებულად, მაგრამ სადმე შემხვდება და შერცხვება ძალიან. მადლობა შენ კიდევ ერთხელ, ეს ზარი არ დამავიწყდება. შენი დამოკიდებულება, რჩევა ძალიან ძვირფასია ჩემთვის, ასევე ძალიან ძვირფასია ის ზაფხული, სადაც ჩვენ ერთად სიმართლეს ვიცავდით“.

მე არ მიყვარს პირადი მიმოწერის გამოქვეყნება, არასოდეს ვაკეთებ ასეთ რაღაცას და ახლაც მეუხერხულება, მაგრამ როდესაც შენ მონსტრად მრაცხ, იძულებული ვარ, საზოგადოებას სიმართლე შევატყობინო!

აი, ეგ არი, ესენი არიან ორსახოვანნი, სხვას გელაპარაკებიან და სხვას ფიქრობენ, შენს წინაშე სხვანაირად იქცევიან და ზურგს უკან ხანჯლებს ლესავენ!

ეს მხოლოდ ერთი ფრაგმენტია. ასეულობით მაქვს. არ გეგონოთ, სპეციალურად შევინახე, არა, უბრალოდ მიმოწერა მოვძებნე, წაშლილი არ აღმოჩნდა.

ეკა მწერს: როდესაც ადამიანი სიცრუეს გაბრალებს, ოოოო, ეს დიდი ბოროტებააო.

და ახლა... ეს რა არის, ქალო, რას აკეთებ, რას მიედები და მოედები?

აი, მეგობრებო, მიუხედავად იმისა, რომ მან ასერიგად „გამიმეტა“, მე მაინც არ გამოვლანძღავ, უბრალოდ ვიტყვი: სამწუხაროა, ჩემო ეკა, სამწუხარო... როცა საქმეს შავნოდარასთან დაიჭერ, სულ ეგრე დაგემართება!

მე პირადული რაღაცები არ მაინტერესებს... მხოლოდ იმას გამოვაქვეყნებ მომავალში, როგორ აქებდა ბიძინა ივანიშვილს, როგორ აქებდა ირაკლი ღარიბაშვილს და როგორ ენატრებოდა ჩემთან ინტერვიუები... აი, ამას მწერდა მაშინ, როცა (თურმე) ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, ანუ დაკვეთით მაღალი თანამდებობის პირებზე ბინძურ სტატიებს ვწერდი:

„ჩემო კარგო, როგორ ხარ? მომენატრე, ხვალიდან შენს განკარგულებში ვარ“.

თუ ადამიანმა იცის, ბინძურ საქმიანობას ეწევი და მაინც ასეთ რამეს გწერს, თვითონ ვინ გამოდის, რას წარმოადგენს? არადა, ვაღიარებ, ჩვენ ერთმანეთის მიმართ მართლაც გვქონდა დიდი პატივისცემა და ეს პატივისცემა გამომდინარეობდა ფოტორეპორტიორების საქმიდან. ალბათ გახსოვთ, სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ჯაშუშობის ბრალდებით ფოტორეპორტიორები რომ დააპატიმრეს, მაშინ ჩვენ უპრეცედენტო აქციებს ვაწყობდით და ის გახლდათ დაპატიმრებულთა ადვოკატი. რა იყო, როგორ იყო და რანაირად იყო, ამას აღარ მოგიყვებით, მაშინ ფოტოგრაფებს არარსებული დანაშაული აღიარებინეს, რუსეთის აგენტობაზე ხელი მოაწერინეს და გამოუშვეს. ალბათ გახსოვთ, მსგავსი უპრეცედენტო სისულელე არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებას არასოდეს არ ჩაუდენია, ეს მოხდა მხოლოდ აქ, ჩვენს ქვეყანაში. ჰოდა, რატომ გავიხსენე ეს ამბავი? იმიტომ, რომ მე და ეკა ბესელია თავს თანამებრძოლებად ვთვლიდით. როგორც წაიკითხეთ, შემდგომში, როცა ის უკვე დეპუტატი გახდა, ლამის სიყვარულს მიხსნიდა. სხვათა შორის, გადეპუტატებიდან დაახლოებით ორ კვირაში ჩვენ ვიჩხუბეთ კიდევაც, ამ შემთხვევაში მართალი ვიყავი, პრესაში გამოვაჭენე და ეს არ იყო დაკვეთა (ვისაც ვაკრიტიკებდი და ვაკრიტიკებ, რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ამას ვინმეს დაკვეთით ვაკეთებ, ისინი თავიანთი ცხოვრებისეული სტილიდან უყურებენ სამყაროს). მოკლედ მოგიყვებით, მაშინ რა მოხდა: როგორც კი ახალი პარლამენტი შეიკრიბა, ეკა ბესელია დანიშნეს იმ კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა შეესწავლა ყოფილი პატიმრების საქმეები და მიენიჭებინა პოლიტიკური სტატუსი. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, რამდენ ადამიანზე იყო საუბარი, თუ არ ვცდები, 200-მდე საქმე უნდა განეხილათ. ერთი ყოფილი პატიმარი და საქართველოდან უკრაინაში გაქცეული ადამიანი მეხვეწებოდა, რომ მისი საქმე ბესელიასთვის გადამეგზავნა. ამ საკითხში მან საპატრიარქოს საერთაშორისო ფონდის იმჟამინდელი ხელმძღვანელი ლაშა ჟვანიაც ჩართო, ანუ მისი თხოვნითაც გავისარჯე. გვიანი ღამეა, ეკას ვურეკავ, ერთი პიროვნების დოკუმენტები უნდა გადმოგიგზავნო ელფოსტაზე და ნახე-მეთქი. რაიო? დოკუმენტები კი არა, შენ თუ არ გეძინება, მე მაინც დამაძინეო, ორი კვირაა ქუთაისში ვარ (მაშინ პარლამენტი ქუთაისში იყო), შვილები არ მინახავს, დავიღალე და დავიქანცეო. ვაჰ, აბა, იმ ქალებმა რა ქნან, უცხოეთში რომ მუშაობენ და წლების განმავლობაში შვილებს ვერ ნახულობენმეთქი? მოკლედ, იმან თავისი თქვა, მე ჩემი ვთქვი და რაც ორივემ ვთქვით, ერთ-ერთ გაზეთში დავბეჭდე იმ მოტივით, რომ გაინაღდა და ხალხი დაიკიდა-მეთქი. ბუნებრივია, ეწყინა, გული ეტკინა. მოგვიანებით ბოდიში მოვუხადე, ცოტა მკაცრად გამომივიდა, მაგრამ იმაზეც უნდა იფიქრო, გული სხვასაც სტკივა-მეთქი. შევრიგდით, მას მერე ცუდი არაფერი მიკადრებია, პირიქით, ვაფასებდი და როგორც შემეძლო, პრესაში სტიმულს ვაძლევდი. ერთი-ორჯერ გავკენწლე, როცა „ქართული ოცნება“ დატოვა და ბიძინა ივანიშვილის აუგად ხსენება დაიწყო. ის ერთ-ერთი უმადური აღმოჩნდა მრავალ უმადურთა შორის. არადა, ადრე, სანამ „ქართულ ოცნებაში“ „პარადი“ მიჰყავდა, ბიძინას და ირაკლის ლოცვებში იხსენიებდა. ამაზე შემდეგ ნომერში მოგახსენებთ და თქვენ ნათლად დაინახავთ, როგორია ორსახოვანი (თუ მრავალსახოვანი არა) ადამიანი.

ჰო, შავნოდარას გადაცემაში კიდევ ერთი მოწმე გამოიყვანეს – სანდრო ბარამიძე, ერთ დროს თეა წულუკიანის მოადგილე (იუსტიციის სამინისტროში). ამანაც კაი გვარიანად იბოდიალა. სხვათა შორის, სულ მიკვირდა, ამნაირებს მინისტრების მოადგილეებად რა უნდათ, ეგეთებს ხომ ორ ბატსაც არ ანდობენ-მეთქი? გამოხდა ხანი და მართლაც მოიშორეს. ამ ადამიანს პირადად არ ვიცნობ, საერთოდ არაფერი დამიწერია. გადმოაყუდეს ტელევიზორში და ალაპარაკეს, დიახ, ეგეთი რაღაცები მართლა ხდებოდაო. რა ხდებოდა, შე „პადვლიდან“ ამოთრეულო ვირთხავ, გიცნობ? მიცნობ? შემხვედრიხარ? შეგხვედრივარ? რას მიედები და რას მოედები?!

(გაგრძელება იქნება)

ირაკლი აბაშიძე

ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოიხრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან...

„ИАС, ბნელ ხევში მოსულსა“

ფიქრები დიდ მწერალ თამაზ ნატროშვილზე, მის შედევრად ქცეულ წიგნებზე და საიდუმლოზე, რაც თამაზაშვილებს და ქაქუცა ჩოლოყაშვილს უკავშირდება

მაყვალა ბერიანიძე

ყოველთვის მიყვარდა 20 მაისი... ქართლში განსაკუთრებით თხოთის მთის ახლოს სოფლებში ყოველთვის დიდი ზეიმი იყო — ნინოობას აღნიშნავდა დიდი თუ პატარა.

ვისი ეზოს თუ სახლის კარიც არ უნდა შეგეღო, არავინ იკითხავდა, ვინ იყავი, საიდან მიხვედი, მაშინვე სუფრასთან მიგიწვევდნენ, უფლის სადღეგრძელოთი შეგეგებებოდნენ. თხოთის მთაზე ახლაც დგას ჯვარი, რომლის ძალა და მადლი ბევრს უგრძვნია და ასეც გაგრძელდება.

ცნობილი ამბავია, თხოთის მთა, მეფე მირიანი, ნანა დედოფალი, ნინო კაბადოკიელი, ქრისტიანული სასწაული და ქართთა გაქრისტიანება ერთმანეთს უკავშირდება... როცა იხსენებ, რომ ეს მე-4 საუკუნეში, თითქმის 1685 წლის წინ იყო, გულის-გულში სიამაყით ივსები, რომ ახალი თაობები კვლავ სიყვარულით აღნიშნავენ წმინდა ნინოს რწმენის აღიარებას წარმოშობით სპარსი მეფის მიერ და პატივს მიაგებდნენ ქრისტეს გზაზე დამდგარი ქალის სიმამაცეს.

აბა, სხვა რა არის „ნინოობა“ თუ არა სიკეთის გამარჯვების დღე! იქნებ ამაში დევს ის „უცნაურობა“, რომ არავის ეჩვენებოდა „სხვაგვარად“, როცა ქართლში ამ დღესასწაულზე, უფალს ადღეგრძელებდნენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვადასხვა ერის და რწმენის ადამიანები.

„სტუმარი ღვთისაა“, „უფალი ერთია“... სწორედ ამ დღეს, 20 მაისს იგრძნობოდა ძალუმად... ჩემთვის 20 მაისი საკრალური იყო და დღემდე ასეა, რადგან მე მასში ვხედავ ჩემს ლაღ ბავშვობას, ქრისტიანობასთან მიახლოება, სიკეთისა და სიყვარულის ზეიმს, ადამიანთა შორის საოცარი ურთიერთობების მაგალითებს. მხოლოდ ერთხელ, 2007 წლის 20 მაისს შეწყდა ზეიმი. ეს მაშინ იყო როცა ავად სახსენებელი მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროს დღისით მზისით მოგვიკლეს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გურამ შარაძე და იმდენ ხანს გვაჩვენებდნენ ტელევიზიით მის ცხედარს ქუჩიდან, რომ ეკრანიდანვე გრძნობდი მუქარას — ვინც ჩვენ შეგვეწინააღმდეგება, ასე „გავუმანსპინძლდებითო“.

მას შემდეგ 20 მაისი აღარ იყო მხოლოდ დღესასწაული. ნაღველშერეული დღეს ლოცვით, მაგრამ ტკივილითაც ვხვდებოდი, თუმცა, გულწრფელად ვამბობ, ზეიმს ვაპირებდი 2022 წლის 20 მაისს... მსურდა მთელი ქვეყნისთვის გამეგებინებინა, რომ 20 მაისს დიდი ქართველი ისტორიკოსის, მეცნიერის და მწერლის თამაზ ნატროშვილის იუბილე იყო.

ასეც იქნებოდა, რომ არა სასტიკი „კოვიდ-19“. გული მწყდება, მხნე და შემართული იყო, სიფრთხილეც არ აკლდა, მეუღლე რომ იტყვიან „ცივ ნიავს“ არ აკარებდა, მაგრამ? 2022 წლის იანვარში დიდ საუფლოში გადასახლდა.

მართალი ყოფილა ნათქვამი, მდინარე რაც უფრო ღრმაა, ნაკლებად ხმაურობსო. სიცოცხლეში თამაზ ნატროშვილი ნაკლებად ხმაურობდა, სიკვდილშიც „ასე მოიქცა“, თუმცა, ხმაურობენ კი არა, ბობოქრობენ მისი ნაშრომები.

2-3 წლის ვიქნებოდი, როცა გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ხვალ დილი იქნება ხეობაში“, მერე პირველი კრებულიც გამოუცია — „გამოღვიძება“, მაგრამ ჩემი გაოგნება დაიწყო სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა წავიკითხე მისი „მაშრიყით მაღრიბამდე“; „წელი ერთი და ათასი“, „დაღათუ იყო სიკვდილი“, „ახსოვდა თუ არა საქართველო“, „მოყვასი შორეული რომიდან“ და სხვა.

ვინ არის მეთქი, ვკითხულობდი. „უბრალოდ“ მეუბნებოდნენ, „დიდი გიორგი ნატროშვილის შვილია, სხვებივით თვალში არავის ეჩხირება, მაგრამ დიდი ისტორიკოსი, მეცნიერი, მთარგმნელი და უცნაურად (?!) განსხვავებული მწერალია, არავის არ ჰგავს, ისტორიას წერს მიკერძოების გარეშე და უიშვიათესი ფორმებით“.

სხვების გამონათქვამებსაც „გავედევნე“... გურამ ასათიანი წერდა: „მოვუსმინოთ თამაზ ნატროშვილს, შესანიშნავი, მართლაც ხელიხელ საგომანები წიგნის „მაშრიყით მაღრიბამდე“ ავტორს“.

ლევან ბრეგაძე — „დროა, მკაფიოდ ითქვას, რომ თამაზ ნატროშვილის სახით ჩვენ საუცხოო მწერალი გვყავს — მისი „მაშრიყით მაღრიბამდე“ შედევრია“.

აღარ გავაგრძელებ... იმ დროსაც და ახლაც ყურში იყო მოსახვედრი, სიტყვა — „დროა“... რას ნიშნავდა ეს? იმას რომ სხვები, იმაზე მეტს ხმაურობდნენ, ვიდრე უნდა ეხმაურათ, თამაზ ნატროშვილი კი „თავისთვის იყო“, სხვებზე ზრუნავდა, მუშაობდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში, აღმოსავლეთმცოდნეობის კვლევით ინსტიტუტში, მონაწილეობდა „ილიონის“ გამოცემებში. ის სხვებზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე თავის თავზე და ეს მორიდება „რატომღაც“ (?!) ცუდად გაიგეს, მისი ნაშრომებით, სარგებლობა კი არა, მითვისება დაიწყეს.

გულწრფელად ვამბობ, მიკვირდა, კახეთის დაუმორჩილებელი მხარის, ქიზიყის შვილს, საიდან ჰქონდა მოთმინების უსაზღვრო მარაგი, მაგრამ ერთ დღეს, და ეს იყო 1983 წლის 9 დეკემბერს, საყოველთაოდ ცნობილ „ლიტერატურულ საქართველოში“, N50, გამოქვეყნდა ბატონ თამაზ ნატროშვილის წერილი — „გვახსოვდეს მერვე ცნება“ — მივხვდი... მოთმინების ფიალა გადაევსო...

მშვიდი, გაწონასწორებული, მაგრამ შინაგანი ამბოხით დაწერილი წერილი იყო. გული სტკიოდა, რომ მის შრომას, ნაღვაწს პატივი არ სცეს და კი არ გამოიყენეს, მიითვისეს, საკუთარ, „დაუღალავ“ ნაშრომად წარმოადგინეს.

უფრო გავოცდი, როცა დიდი საგაზეთო ომი ატყდა — ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლების“ უდიდეს ნაწილი, ყოველგვარი მითითების გარეშე თამაზ ნატროშვილის წიგნიდან — „მაშრიყით მაღრიბამდე“ არის. ამას მარტო პლაგიატობა კი არა, სხვისი საკუთრების ძარცვა ჰქვია.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

თამაზ ნატროშვილი

ვიცნობდი ბატონ ლევან სანიკიძეს, მისი პასუხიც წავიკითხე — „ცოტა უხეში“, შეურაცხმყოფელი, მედიდური — გამიკვირდა...

მერე? ორივე წიგნი დავიდე ჩემს წინ და ფურცელ-ფურცელ ახლიდან წავიკითხე. თამაზ ნატროშვილისკენ იხრებოდა სიმართლე, მით უფრო იმ ფონზე, როცა მე, პატარა ისტორიკოსს, „უქარქაშო ხმლებში“ ბევრი ისტორიული უზუსტობაც მქონდა შემჩნეული, ვთქვათ სეფი-მირზას მკვლელობის ამბავზე, თვით ბებუთბეგზე, ან სეფი მირზას დედის წარმომავლობაზე, ან ქეთევან დედოფლის წამების დროს გიორგი ხუცესის საქციელზე და სხვა.

ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა საშუალებას მაძლევდა ხშირი შეხვედრები მქონოდა მწერლებთან, მეცნიერებთან, პოეტებთან, მსახიობებთან, ჟურნალისტებთან, რედაქტორებთან და სხვა დარგების გამოჩენილ ადამიანებთან.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლევან სანიკიძეს ვკითხე, „ბატონო ლევან, ეს როგორ მოხდა, სხვისი ნაშრომი თუ გამოიყენეთ, მითითებას წინ რა ედგა, მგონი სიმართლე არ არის მეთქი“.

მეგონა უარს იტყოდა... „მერე რა, წერონ და იკითხონ. მე უფრო ცნობილი ვარ, მე უფრო დამიჯერებენ თუ ნატროშვილს? ისე კი.. გაზეთში, „საქართველოს რესპუბლიკა“ გავაკეთე უარყოფა, მაგრამ ნატროშვილი მართალია. რა ვქნა, საჯაროდ ვაღიარო რომ დიდი ნაწილი გადავწერე, ბოდიში მოვიხადო?“

გავოგნდი, მაგრამ? იქ, მარტო მე არ ვიყავი და თავი შევიკავე, არაფერი მითქვამს, ბატონ ლევან სანიკიძეს თავისი პირადი (არა სამწერლო) პრობლემები ჰქონდა. ვერ ვიკადრე სტუმართან შეკამათება.

მერე? უფრო გულდასმით ჩავეძიე ორივე წიგნს, სხვების შეფასებებსაც ჩავუღრმავდი. დავით ჭელიძე, რომელიც მისის მამის 9 ტომეულზე მუშობდა, არ განერიდა ამ პოლემიკას და „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს თამას წივწივაძეს წერილი გაუგზავნა და „სუტ კნეინას“ ნაცვლად „სუტ აზნაური“ უწოდა ლევან სანიკიძეს (ილია ჭავჭავაძის მოთხრობის კვალდაკვალ). დაგმო მისი „ქუჩურ-სალანძღავი“ სიტყვები, სიცრუე. აღნიშნა თამაზ ნატროშვილის კეთილსინდისიერება, ეთიკის ნორმების დაცვა.

მერე „ლიტერატურული საქართველოს“ კვლევის შედეგებს გავეცანი. გამაოგნებელი იყო მათი საჯარო დასკვნა. თურმე ლევან სანიკიძეს არაფრად მიაჩნდა „სხვისი ნაშრომის გამოყენება, მითვისება, თუნდაც ამ ნაშრომის პატრონის მიუთითებლად“... მერე რა, თუ „მთლიანი პასაჟები გადაიტანა, თუნდაც კორექტორული შეცდომებითაც კი“ (თავი არ შეიწუხა?!).

პირადად ჩემთვის, ახალგაზრდა ისტორიკოსისთვის მტკივნეული იყო ლევან სანიკიძის „თავის მართლების“ არგუმენტი, რომ თამაზ ნატროშვილის წიგნი პირველად „მცირე ტირაჟით“ გამოვიდა მერე 20 ათასი ტირაჟით და ხალხმა „ვერ აიტაცა“ (?!) მან კი მოახერხა „უქარქაშო ხმლების“ გაპიარება და დიდი ტირაჟით გამოცემა, რომ მას ხალხი იცნობს, ნატროშვილი კი „ჩრდილშია“ (?!), მერე რა, თუ ნატროშვილის წიგნს ცნობილმა სპეციალისტებმა „შედევრი“, „გასაოცარი სიმართლის წიგნი“ უწოდესო...

აღარ გავაგრძელებ... „ლიტერატურული საქართველოს“ ღია დასკვნაში ეწერა — „შენიშვნები, რომელიც თავის წერილში გამოთქვა თ. ნატროშვილმა, სწორი იყო“.

რაზე წყდებოდა გული თამაზ ნატროშვილს? ბევრ რამეზე, მათ შორის მისი შრომის არა სარგებლობაზე, არამედ მითვისებაზე, ფაქტების ვითომ შელამაზებაზე, სინამდვილეში სიცრუის ტირაჟირებაზე, უცხოელ მოგზაურთა გამოთქმების „გადასხვაფერებაზე“, მთლად ნატროშვილის შრომა „რომ არ ამომხტარიყო“...

ერიდებოდა თურმე, უცხო ენაზე თარგმანში რომ ნახონ, რას იტყვიან, ეს ხომ ჩვენ არ გვითქვამსო...

თამაზ ნატროშვილის 39 წლის წინანდელი წერილი — „გვახსოვდეს მერვე მცნება“, ახლა უფრო ტკივილიანი და ხმაურიანია. გაოცებულიც არ ვარ... გული მტკივა, რომ ხალხს „უქარქაშო ხმლები“ უყვარს ისეთი, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც უნდა იყოს — თამაზ ნატროშვილის შედევრი წიგნივით — „მაშრიყით მაღრიბამდე“...

მძიმე წასაკითხია ბატონი თამაზის წერილის „პ.ს“. არ ვიცი, რას იტყვის მკითხველი, მე კი ისღა დამრჩენია, რომ „უქარქაშო ხმლების“ კითხვისას „გაოცების ზღვაში ჩავვარდე“ და „აღშფოთების თითზე

კბენით“ ვინუგეშო თავი (ეს დაიწერა 39 წლის წინ).

წლების მანძილზე სულ ვცდილობდი გამეცნო ბატონი თამაზი, თუნდაც ლევან სანიკიძის სიცოცხლის პერიოდში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, თუმცა გაოცებისგან „ენა ჩამივარდა“, როცა 1995 წლის ივლისში („ლიტერატურული საქართველო“ 14-21 ივლისი N28), გამოქვეყნდა მისი წერილი – „იას, ბნელ ხევში მოსულისა“.

ის „ია მას ჰგავდა“... იმ „იას, ბნელ ხევში მოსულსა, დიდი ჭანდრები რომ ჰფარავდა“.

ღმერთო, რა გენიალური იყო ვაჟა-ფშაველა! ის თავისი ლექსით – „უნუგეშო ყოფნა“ – „პატარა იასაც მფარველობდა“ და მორიდებულ, გასაოცარ ადამიანებსაც, „გავლენიანები, „დიდი ჭანდრები“ რომ ფარავდნენ...

თამაზ ნატროშვილი წერდა, რომ ლექსი 1895 წელს დაუწერია ვაჟა-ფშაველას, თითქმის იმ ასაკში, რა ასაკშიც ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როცა ეს ლექსი წაუკითხეს კახეთში, ტიბაანში.

ნატროშვილი წერდა: „ქაქუცას ცრემლი მოადგა თვალებში დამჭკნარ-მომაკვდავი იის ხსენებაზე და, ვინ იცის, უმწეო ყვავილი არა მარტო სამშობლოს შეადარა გულში. ფხიზლად თუ განსჯიდა საკუთარ ბედს, იოლად შეეძლო „წარმოედგინა თავი ამ ლექსის პერსონაჟად“.

თამაზ თამაზაშვილი

მერე განაგრძობს... „ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო. ცამდე მართალი ბრძანდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ჩანს, კარგად იცოდა საქართველოს წარსული და ასევე კარგად ესმოდა აწმყო თუ მომავალი“.

ეს საოცარი წერილი მინდა იხილოს ახალი თაობის ახალგაზრდობამ, რომელმაც იცის 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, დამარცხება და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სასოწარკვეთილ ემიგრანტად ქცევა, მაგრამ მეტს აღარ უღრმავდება – რატომ და რისთვის. თუნდაც ეს წერილი, ჩემი არ იყოს, ფიქრებს აუშლის მეტის გაგების სურვილს გაუღვიძებს, გაიაზრებს, რა არის სამშობლოს დვრიტა და გვერდით არ დაუდგება მოღალატეებს, დამსმენებს...

პირადად მე ახლაც მაფიქრებს ბატონ თამაზ ნატროშვილის დიდედის „სამდურავი“ ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი, „ჩემი დისწული ვასო თამაზაშვილი აქ რატო დატოვა, რატო არ გაიყოლა, სიკვდილს რატო შეატოვაო?“

ისევ „შეფიცულებზე“, ისევ ერთად ბრძოლაზე მოუწოდებდა ყველას ეს საოცარი ქალბატონი, ამიტომ ვერ ეგუებოდა ქაქუცას და „შეფიცულების“ დაშორებას.

ღალატი!

ვასო თამაზაშვილი და დარჩენილი „შეფიცულები“, რომლებსაც სძულდათ საბჭოთა რუსეთიც და მისი ბოლშევიკებიც, მით უფრო საქართველოში, ტყეში გაიხიზნენ. ხალხი, დიდი რისკის მიუხედავად დროდადრო ახერხებდა საჭმლის, წყლის მიწოდებას, მაგრამ მერე მათ აწიოკებდნენ „ახალი საბჭოელები“. დარდობდა ვასო თამაზაშვილი – სოფელი არ ააწიოკონ, ადამიანები არ დახოცონო.

კახეთში „ჩეკა“-ს რწმუნებული ყოფილა, გოგი დევდარიანი. მას ზემდგომებთან შეთანხმებით, შეუთვლია ამბოხებულებისთვის, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ თუ „ტყედ გასულები“ უკან დაბრუნდებოდნენ. ეს მინიშნებაც ყოფილა, სოფელს ხელს არ ვახლებთო...

ვასო თამაზაშვილს აფრთხილებდნენ, გიღალატებენო, მაგრამ? მან სიცოცხლეზე მეტად სოფელი დაინდო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს და დამოუკიდებელ საქართველოს შეფიცულები გამოვიდნენ „სამზეოზე“. სოფელმა დიდი ლხინი გამართა „ყოფილი ყაჩაღებისთვის“ (ასე „მონათლეს“ ბოლშევიკებმა ქაქუცა და მისი ხალხი), მაგრამ ისევ იმძლავრა მოღალატეთა ჯგუფმა. სუფრაზე მსხდომთ „ანგარიში გაუსწორეს“ – მზე „დაუბნელეს“ დაუნდობლად, დახოცეს ვასო თამაზაშვილი და მისი მეომრები!

მეტი სისასტიკეც გამოიჩინეს ბოლშევიკური ხელისუფლების მსტოვრებმა და მათმა „მბრძანებლებმა“. „მოკლულთა გვამები გათოკეს და გორაკიდან დააგორეს“.

დიდი მწერალი თამაზ ნატროშვილი ღირსებას არ უკარგავდა „ჩეკას“ წარმომადგენელს გოგი დევდარიანს. მას ველარ აუტანია, რომ მოატყუეს, მიცემული პირობა „გაუტეხეს“, ხალხის თვალში მატყუარად, არაკაცად წარმოადგინეს და „დიდ ჩეკისტს“ ლავრენტი ბერიას მიუვარდა თურმე. ვინ მოაკვლევინებდა? თვითონ დევდარიანი გაუყენეს სიკვდილის გზას შეფიცულებთან...

თამაზ ნატროშვილს ისიც გაუგია, რატომ დაარქვეს თამაზი... დისწულის, გაწირული ვასილ თამაზაშვილის სახელი უნდოდა დაერქმია მისთვის დიდედას, მაგრამ მმაჩის ბიუროში რომ მისულა, შვილიშვილის ბედზე უფიქრია, ვასილის ბედისწერა „არ გადაედოსო“ და თამაზაშვილის გვარი ბავშვის სახელად „უქცევია“ – თამაზი დაურქმევია, იმ ჩემი თამაზაშვილივით მონატრებასავით ბიჭიაო...

წლები თოვლივით დნებოდა... პირველი, ვინც გავიცანი დედოფლისწყაროში თამაზ თამაზაშვილი და ნატროშვილები იყვნენ... თანაკურსელი მყავს კახეთიდან, მანავიდან... მეუღლე მართლაც ვაჟკაცი (ღმერთმა გაანათლოს მისი სული) შოთა პოლიციაში მუშაობდა. ერთხელ, სოფელში სტუმრობისას გაიხსენა, როგორ „აფეთქდა“ თურმე სამხარეო პოლიციის უფროსი თამაზ თამაზაშვილი, როცა გაიგო, რომ ვიღაცამ „ბოლშევიკების შთამომავლად“ მოიხსენია. მაშინ ბევრმა არ იცოდა „რატომ შეიძლება აფეთქებულიყო საბჭოთა დროის პოლიციელი“. გაიგეს... იმ სუფრაზეც ვთქვი სათქმელი – თამაზ ნატროშვილის წერილის – „იას, ბნელ ხევში მოსულსა“, ამბავი და ვასილ თამაზაშვილის შთამომავლის თამაზ თამაზაშვილის „აფეთქებაც“ გასაგები გახდა. ის თავის გულში სათუთად ინახავდა „დამჭკნარ იებს“ – ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ვასილ თამაზაშვილს და შეფიცულებს...

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ვასილ თამაზაშვილი

თამაზ ნატროშვილი, თამაზ თამაზაშვილი და მათი შთამომავლობა მაინც მოესწრო დამოუკიდებელ საქართველოს!

მათ ნახეს... „ია, ბნელ ხევში მოსული“ ვეღარ დაფარეს „დიდმა ჭანდრებმა“!

ისევ ფიქრები თამაზ ნატროშვილზე... „საავტორო გაზეთი“, მერე გაზეთი – „არჩევანი?“ დავაფუძნე. დავიწყე წერა – „ახალი სირცხვილები საქართველოში“. ბატონ ლევან სანიკიძეს დავურეკე, ნებას თუ დამრთავთ, თქვენ წიგნში მოტანილ „309 სირცხვილს“ ახლები დავუმატო მეთქი...

პაუზა დიდხანს გაგრძელდა... მეგონა უარს მეტყოდა... გაუხარდა, „პირიქით, რასაც დაწერ გამომიგზავნე, მეც ახლებურად შევხედავ“...

ისე... ისევ პაუზა – „როგორ მაჯობე, მეც თავის დროზე დამერეკა, პატივისცემა გამომეხატა მართლაც დიდი მეცნიერ-მკვლევარის თამაზ ნატროშვილის მიმართ, კარგი იქნებოდაო“...

ვუთხარი, არ ვიცნობ თამაზ ნატროშვილს თორემ თქვენს წუხილს გავაგებინებდი მეთქი...! გაზეთები კი გავუგზავნე...

ისე წავიდა მეორე სამყაროში ლევან სანიკიძე, მე ვერ მოვახერხე თამაზ ნატროშვილის გაცნობა.

ერთხელ... გაზეთში წერილი მომეწონა, ლაშა გიორგაძე იყო ავტორი. ჩემი მოსაზრებები, აღტაცება გავუზიარე ცნობილ მთარგმნელს, რამდენიმე წიგნის ავტორს, აღმოსავლეთ მცოდნეს, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის მუშაკს, ქალბატონ ქეთევან ტომარაძეს. არაფერი უთქვამს, გაეღიმა და მითხრა, „ჩემთან გეპატიჟები, გაგაცნობ მაგ წერილის ავტორს“.

მივედი, რამდენიმე ხნის შემდეგ ოთახში ბატონი თამაზ ნატროშვილი შემოვიდა – გული კინაღამ გამიჩერდა...

მაშინ ის უკვე 80 წელს იყო „მიტანებული“... ვნანობდი, ამდენ ხანს რომ არ ვიცნობდი.

ფეხზე წამოვდექი – „ბატონო თამაზ“...

კაზურად მიპასუხა...

– მე რა, ბატონი ვარ...

– აბა. როგორ მოგმართოთ, თამაზ?

– დიახ, მე თამაზი ვარ, ასე სჯობს... (ჩაიღიმილა)

– კეთილი... თამაზ...

– ვის ელოდებით?

– ლაშა გიორგაძეს... მომეწონა მისი წერილები...

– მართლა? ქეთევანი მართალი ყოფილა, კარგი მკითხველი, სამართლიანი შემფასებელი ყოფილხარ. ყოჩაღ და...


ქეთევან ტომარაძე

გარჩეული ნიგოზი გამიმოწდა, ვისადილოთ.

ხმას ვერ ვიღებდი. ჩემთვის ვფიქრობდი, კარგად გავიცნობ ბატონ თამაზს და მერე ვილაპარაკებ „უქარქაშო ხმლებზე“ და წლების წინ დაწყებულ პოლემიკაზე მეთქი. ისე წავიდა იმ ქვეყანაში, რომ თითქმის 5 წლის მანძილზე ვერ გავუბედე თუნდაც ერთი სიტყვის თქმა ამ თემაზე. შინაგანად გავიაზრე, გარდაცვლილ ლევან სანიკიძესთან აღარ იპაექრებდა.

ქალბატონი ქეთევანი კი კინაღამ „მოვკალი“, როცა გავიგე რომ ფსევდონიმით – ლაშა გიორგაძე მისი მეუღლე, სახელოვანი მეცნიერი, მწერალი თამაზ ნატროშვილი იყო.

თავმდაბლობაც, ჩრდილში ყოფნაც ამას ჰქვია...

2022 წლის 26 იანვარს თამაზ ნატროშვილი მახათას მთაზე მდებარე პანთეონში დაკრძალეს... მდუმარედ მივაცილე უკანასკნელ განსასვენებლამდე... გული მწყდება... ერთი ინტერვიუც ვერ ჩავწერე... არადა, ბევრის კითხვა მინდოდა, როგორ „გაკერპდა“, როგორ გამაგრდა, როგორ გადაიტანა პირადი ტრაგედია, ვაჟების ბედისწერა, როგორ გაიხარა პატარა გოგონას დაბადებით, ახლა დიდი და ნიჭიერი მარიამი რომ არის – სასახელო შვილი!

დიახ, გული მწყდება ასე რომ მოხდა, მაგრამ რეალობას ვუსწორებ თვალს, სანამ ცოცხალი ვარ, „ვიცურებ“ იმ ღრმა შემოქმედებით მდინარეში, სადაც თამაზ ნატროშვილის შედევრებია და ყოველთვის მემახსოვრება 20 მაისი – მისი დაბადების დღე, თხოთის მთა და წმინდა ნინო, მეფე მირიანი და ნანა დედოფალი – ქრისტიანობის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღესასწაული...

ვულოცავ იუბილეს თამაზ ნატროშვილს ამ სამყაროდან – იმ სამყაროში. 2022 წელი მისი საიუბილეო წელია... იქნებ ახლა მაინც, ქვეყანამ გაიგოს მისი შრომის, ნიჭიერების და მემკვიდრეობის ფასი.

დროა? არა, დავაგვიანეთ!

მაყვალა ბერიანიძე
საზოგადოებრივი მოძრაობა „სცადე“ „საქართველოს ცივილიზაციის აუცილებელი დაცვის ერთობა“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე

ლევან მამალაძე: მინდა პირადად შევხვდე მიხეილ სააკაშვილს, თვალებში ჩავხედო და ვკითხო: რას მერჩოდი, მიშა, 19 წელიწადი დევნილობისთვის რომ გამწირე, ახლობლები რომ დამიხოცე?

ყველას თვალწინ ჩაიარა სააკაშვილის ცოფიანმა რეჟიმმა, დრომ, როცა არავინ იყო მშვიდად და არავინ იყო დაცული, თვით სააკაშვილის გარემოცვის წევრებიც კი და დღეს, როცა 19-წლიანი დევნილობის შემდეგ ლევან მამალაძე საქართველოში დაბრუნდა, სოციალურ ქსელში გაუთვითცნობიერებელი ადამიანები ალალბედზე, დაუკვირვებლად წერენ: რატომ გაიქცა თუ სააკაშვილის წინაშე მართალი იყო? — სხვა არგუმენტებს არ მოვიყვან, მხოლოდ აწ გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის სატელევიზიო ინტერვიუს ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, რითაც დარწმუნდებით, რატომ შეიძლებოდა გაქცეოდა ლევან მამალაძე სააკაშვილს: „სიკვდილის პირას ვიდრე არ მივიდოდა პატიმარი, თითქმის ვერც ერთი ექიმი ვერ ახერხებდა პროფსიული მოვალეობის შესრულებას და მცირეოდენი დასკვნის დაწერას, რომ ის კაცი სასიკვდილოდ იყო განწირული და ჩვენ, ვისაც შეგვეძლო, მეტნაკლებად, ხმის ამოღება, ვეხვეწებოდით,

რომ გაიყვანეთ, სახლში მაინც დალიოს სულიო. ხალხის გოდება და კვნესა ისმოდა.

განგრენა როდესაც დაფარავდა ორივე ფეხს და ავიდოდა წელს ზემოთ, მაშინაც კი არ გაწერდნენ ავადმყოფს. იქ უნდა მომკვდარიყო“.

ამას გადაურჩა ლევან მამალაძე.

ლევან მამალაძე: „1999 წელს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჟვანია-სააკაშვილის ე.წ. დაჯგუფებებმა მიიღეს მილიონობით დოლარი რუსეთიდან. შექმნეს სპეციალური გეგმა; ყველა სახელმწიფო სამსახურის კარი მათთვის იყო ღია. მათი გეგმის მიხედვით, საქართველოში მანიპულირებები უნდა განხორციელებულიყო ხელისუფლების დასუსტების კუთხით. მათ ქრთამი მიიღეს და დღეს ეს გეგმა ხორციელდება. ამის შესახებ უშიშროების სამსახური საქმის კურსშია, დაიწერა გაზეთებშიც, ცნობილია კონკრეტული გვარებიც და ეს გეგმა გრძელდება ჩვენს რეგიონშიც... რომ პრობლემა შეექმნას ნავთობსადენს. ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა და არც ერთ შემთხვევაში არ ვაპირებთ უკან დავიხიოთ...

2000-1999-98 წლებში მთავრობის ყველა სხდომაზე ფიქსირდება, რომ 400 მილიონი გაქრა. სად გაქრა ეს 400 მილიონი? ის გაქრა იმ სამინისტროების მხრიდან, რომლებიც იყვნენ ჟვანია-სააკაშვილის მიერ დაკომპლექტებული — შემოსავლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ენერგეტიკის სფეროს წარმომადგენლები. როგორ იცვლებოდა საწვავზე გადასახადები, როგორ იცვლებოდა ტარიფები ენერგეტიკის სფეროში. როგორ ხდებოდა ამით მანიპულირება? ბიუჯეტი კარგავდა შემოსავალს, ხოლო სხვაობას იდებდნენ ეს ჯგუფები ჯიბეებში. სწორედ ეს თანხები ხდება დღეს მათი ამგვარი პარპაშის საფუძველი. სწორედ ამის ხარჯზე მოახერხეს ზეგავლენა მოეხდინათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ფაქტობრივად, მონოპოლიზება გაუკეთეს პრესას და ტელევიზიას. ყველამ კარგად იცის, სად როგორ, რა შუქდება... მე იმედი მაქვს, რომ მედია, როგორც თავისუფალი რგოლი, გარკვეულ დასკვნებს გააკეთებს, საზოგადოებას სიმართლეს ეტყვის და არა იმ დაკვეთის შესრულებას გააგრძელებს, რასაც აქამდე ახორციელებდა. ეს არის მათი გეგმის ნაწილი — საზოგადოების მოტყუება, მოსყიდვა, გაჭირვებული ადამიანებით მანიპულირება, დაპირისპირების შექმნა, პრეზიდენტის და მთავრობის და სახელმწიფოს მიმართ სიძულვილის და უიმედობის დანერგვა. სხვა რა ხერხები უნდა გამოიყენონ ამ გეგმის შემდგენლებმა სახელმწიფოს დასასუსტებლად და ქვეყნის დასაშლელად?

...დღეს გამოვიდა კონტროლის პალატის ხელმძღვანელი და ძალიან საინტერესოდ ისაუბრა. უცნაურია, ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, რატომ არ არის სს საქმე აღძრული მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომელმაც იუსტიციის სამინისტროში ყოფნის დროს მიითვისა საბიუჯეტო თანხები და ასეულობით ათასი დოლარი ჩამოწერა ე.წ. რუსთავის ციხის მშენებლობის დროს, რომელიც სამჯერ გახსნა. ნახეთ ტელევიზიები, ამოიღეთ მასალები, როგორ ხდებოდა ჯართის გაყიდვა... ეს მასალები არსებობს იუსტიციის სამინისტროში... კონკრეტული ფაქტები, რომლებიც იყო დასახელებული: ეს ეხება „აზოტს“, „კვარციტს“, მაგრამ რატომ სახელდება ეს ორგანიზაციები? ეს ის ორგანიზაციებია, რომლებიც დღეს მუშაობს. იქ ათასობით ადამიანი არის დასაქმებული... და ბიუჯეტს იქედან აქვს შემოსავალი. როგორც კი წესრიგის დამყარება დავიწყეთ ჩვენ ამ სფეროებში, მაშინვე დაგვიპირისპირდა ჟვანია-სააკაშვილის დაჯგუფებები.

ავიღოთ „აზოტში“ განვითარებული მოვლენები. საწარმო გაჩერდა და სწორედ პრეზიდენტის ძალისხმევით მიმდინარეობდა პროცესები, რომ საწარმო ამოქმედებულიყო. მაშინვე გამოიკვეთა ფირმა „ავტოტრანსი“, რომელმაც 17 მლნ დოლარი მიითვისა, ეს მასალები დღესაც პროკურატურაში დევს. სწორედ მათი მფარველები იყვნენ. სააკაშვილს იუსტიციის მინისტრობის დროს პირადი შეხვედრები ჰქონდა და იმის გამო, რომ იქ მანიპულაციები ჰქონდათ საკმაოდ დიდი თანხები ჩაიჯიბეს. კონკრეტულ ფაქტებს ვამბობ.

„კვარციტთან“ დაკავშირებული საკითხები: მე მინდა ყველას გავახსენო, „კვარციტი“, „მადნეული“, ეს არის ის საწარმოები, რომელბიც ყველაზე დიდი გადამხდელები არიან ბიუჯეტში და ეს საწარმოები არის ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ძლიერი გარანტები. 10 მლნ. იქნა მითვისებული ავსტრალიელების მხრიდან. ეს მასალები კონტროლის პალატის დასკვნებში არის დაკონკრეტებული. ეს ის 10 მლნ-ია, რომელსაც ავსტრალიელები არ უბრუნებენ სახელმწიფოს. პირადად სააკაშვილი და მისი სააადვოკატო კანტორა იყო ჩაბმული ამ ღონისძიებებში, მისი მოადგილე ოქრუაშვილი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოეტყუებინა პრეზიდენტი, მოეტყუებინა სახელმწიფო და ამბობდა: თქვენ სტოკჰოლმის არბიტრაჟს წააგებთ, დააბრუნეთ 15 მლნ-იო, აი, იმ 15 მლნ-ზეა საუბარი, რაზეც სააკაშვილი გუშინ ლაპარაკობდა... მილიონობით თანხები მიიღეს ამ გარიგების ხარჯზე სააკაშვილმა და მისმა დაჯგუფებამ. რატომ არ უნდა იყოს ეს გამოკვლეული?

დღეს საქართველოში მოქმედებს უამრავი შეიარაღებული დაჯგუფება, რომლებიც არიან შენიღბული და შენიღბულნი არიან დაცვის რაღაც ფირმების სახელით... მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფოს ხარჯზე შექმნა სპეცდანიშნულების ჯგუფი, რომელშიც ასეულობით ადამიანი გააწევრიანა, მოამზადა ისინი თითქოს დასაცავად ციხეების და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების, მაგრამ, სინამდვილეში, ესენი არიან ტერორისტული დაჯგუფებები. ეს შეიარაღებული ტერორისტული დაჯგუფებები კაცმა არ იცის, რას გეგმავენ. თუ მე მეძახიან ბანდიტს, დამიძახოს კობა ნარჩემაშვილმა და დამკითხონ... მაგრამ მინდა დავაყენო საკითხი: როგორ შეიძლება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავდეს შეიარაღებული დაჯგუფება, რომელმაც პირველი, რაც გააკეთა, თბილისის მერიაში ჩამოაყალიბა საპყრობილე და ჟურნალისტმა, რომელმაც სიმართლე უთხრა, საპყრობილეში ჩაკეტეს... დაშინებული ჰყავთ მედია, რადგან სწორედ ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომ ზეგავლენით, ტყუილით, ფალსიფიკაციით მოახდინონ ზეწოლა ადამიანებზე, ჩირქი მოსცხონ, ცილი დასწამონ და აქვე ცილისწამებაზე მინდა ვთქვა: არავის ეგონოს, რომ ვინმე ცილისწამებისთვის დაისჯება. ეს მიხეილ სააკაშვილის საკანონმდებლო რეფორმაა... — რაც გინდა თქვი, ვისაც რა გინდა დააბრალე, ცილისწამებისთვის არავინ არ დაისჯება... სს კოდექსში შესაბამისი მუხლი უნდა შევიდეს, რომ ტყუილ-მართალი გაირკვეს.

რატომ მებრძვიან იციით? ჩვენ არ წავყევით იმ კორუფციაში, რომელიც დაგეგმილია ჟვანიასა და სააკაშვილის მიერ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას. ამით დაიწყო ჩვენი დაპირისპირება. არ ჩავყევით იმ კორუფციულ სქემებში, რომლის შესახებაც მე 2000 წლიდან დავიწყე საუბარი, მაგრამ მე მინდა ვთქვა: შიშის სინდრომია შექმნილი, როცა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში, ტელევიზიებში და გაზეთებში, თუ ვინმე მათ წინააღმდეგ გამოვა, ცილისწამებითა და ჩირქის მოცხებით მათი დისკრედიტაცია მოახდინონ. ეს შიშის სინდრომი უკვე კანცელარიასაც გადმოედო, სამინისტროებსაც და უწყებებსაც. მე მინდა ყველამ იცოდეს, არ ვაპირებ იმ ნაგავში ყოფნას, რაზეც აქ ვილაპარაკე. ყველამ საკუთარი არჩევანი გააკეთოს. ნურავის

ნუ ეშინია... **მე ვემიჯნები იმ კორუფციულ სისტემებს, რაც შექმნა შვანიამ და საპატიმრო, დიახ, ვემიჯნები**... მე მზად ვარ ვიბრძოლო სახელმწიფო ინტერესების დასაცავად... მე ვიბრძოლებ, რომ საქართველო არ ჩავუგდოთ ხელში ისეთ ადამიანებს, რომლებიც ეროვნული ფუძიდან აღმოცენებული არ არიან.“

ეს გახლავთ ქვემო ქართლის მაშინდელი გუბერნატორის 25 წლის ლევან მამალაძის საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოსვლის სტენოგრამა.

ეს და ასეთი შეუპოვარი გამოსვლები გახდა შემდეგ ლევან მამალაძის, მისი ოჯახის და სამი მცირეწლოვანი შვილის დევნის ძირითადი მიზეზი.

ლევან მამალაძე გასულ კვირას სამშობლოში დაბრუნდა.

მე მას იმ ბინაში ვესტუმრე, სადაც, როგორც თვითონ თქვა, დაიბადა და გაიზარდა.

ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში, რომელიც ყვავილებით, ხატებითა და ქართული ხალხური საკრავებითაა „მორთული“, ძვირადღირებული თითქმის არაფერია. მოკრძალებული ბინა კორპუსის ბოლო სართულზე იტევს ოჯახურ სითბოს, 19 წლის განშორების მერე შვილის დაბრუნებით გამოწვეული 83 წლის დედის უდიდეს სიხარულს და ლევან მამალაძის უმშვენიერესი შვილების ანკარა ქართულით საუბარს.

მე ვნახე: ტრადიციული, ლამაზი და დიდი ქართული ოჯახი, მაგრამ ზედმეტი სენტიმენტალიზმი რომ არ გამომივიდეს, ლევან მამალაძეს მოვუსმინოთ, რომელმაც ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა „საერთო გაზეთს“.

— მოგესალმებით და გილოცავთ, სამშობლოში დაბრუნებას, ბატონო ლევან. როგორია თქვენი განცდა ამდენი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებისას?

— მოგესალმებით, მივესალმები „საერთო გაზეთის“ მკითხველებს, ადამიანებს, რომლებიც თქვენი გაზეთის საშუალებით თვალს ადევნებდა ჩემს განუწყვეტელ ბრძოლას სამშობლოში დასაბრუნებლად.

თავიდანვე უნდა გითხრათ: წასვლის დღიდანვე სულ მქონდა განცდა, რომ რაც არ უნდა მომსვლოდა, საქართველოში უნდა დავბრუნებულიყავი. 19 წელი გაიწელა ეს მტანჯველი პროცესი.

სულ მქონდა იმედი — აი, ახლა გაარკვევენ ჩემს სიმართლეს, აი, ახლა მოვხვდები რომელიმე სიაში-მეთქი, მერე ამ სიებში ხან პირველი ვიყავი, ხან—ბოლო, ხან მშლიდნენ სიიდან, ხან ჩემს თხოვნას იგნორირებას უწევდნენ. ახლა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ზუსტად ვიცი, ვინ როდის და რატომ მშლიდა სიებიდან, მაგრამ, არ მინდა, ამჯერად გვარებს არ დავასახელებ.

— ოპოზიციონერები გშლიდნენ თუ მოქმედი მთავრობის წევრები?

— ესენი იყვნენ ურეიტინგო პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელს ამოფარებულნი მოკალათდნენ მაშინ ხელისუფლებაში.

არადა, **თუ ვინმე იყო პოლიტიკური დევნილი და საპატიმროს რეჟიმის მიერ რეპრესირებული, ერთი ერთი ვიყავი მე, რადგან, რაც გადაგვხდა მე და ჩემს ოჯახს, ეს იყო მიხეილ საპატიმროს პირადი ანგარიშსწორება ჩემზე.**

ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე მივმართე პრეზიდენტ მარგველაშვილს, შედეგ ზურაბიშვილს, მაგრამ შედეგი იყო ნული, ბოლოს, როცა ამნისტიის კანონი იხილებოდა, უიმედოდ შევხვდი ამ ამბავს, რადგან 19 წელი ჩემზე კანონი კი არა, მოქმედებდა პოლიტიკური განწყობები. ამ განცდების ფონზე იმდენად, რომ იტყვიან, გადავიწვით, რომ იმ დიდ ემოციას, რაც წლების განმავლობაში გვქონდა — თვალს რომ დავხუჭავდით და საქართველოში წარმოავიდგენდით თავს, ახლა ვერ ვგრძნობ. ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ.

ერთი კი მოვახერხე, შემოსვლისას მარჯვენა ფეხი დავდგი საქართველოს მიწაზე.

აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების შედეგ კი მოვედი

სახლში და ჩავეხუტე 82 წლის მონატრებულ დედას.

— როგორი გქონდათ წარმოდგენილი და როგორი დაგხვდათ საქართველო 19 წლის შემდეგ?

— საქართველო ძალიან არის შეცვლილი. გათანამედროვებულია. მის ინფრასტრუქტურულ არქიტექტონიკას რაღაცნაირად ისრაელს ვამსგავსებ.

რაც შეეხება მოწყობას, ბევრგან, ცხადია, არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიყავი პენიტენციარულ დაწესებულებებში — საზღვარი, საპატრულო, დროებითი დაკავების იზოლატორი, ეტაპირება, სასჯელაღსრულების თანამშრომლები და მინდა აღვნიშნო, საკაშვილის რეჟიმის ციხეებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან შედარებით საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა დღეს არის როგორც ცა და დედამიწა. ნორმალური, მოქალაქისადმი პატივისცემით სავსე დამოკიდებულება კანონის ფარგლებში, ეს არის პირველი შთაბეჭდილება, რაც შემიძლია ვთქვა.

— ლევან, თქვენ თქვით, რომ იყვნენ „ქართულ ოცნებას“ მიტმასნებული გარკვეული ძალები, რომლებიც ხელს უშლიდნენ თქვენს ამნისტირებას. რას გერჩოდნენ ეს ისინი?

— ეს ადამიანები ჩარჩენილი არიან სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში და აქვთ ანგარიშსწორების ნოსტალგია. ისინი მშვენივრად ხვდებიან, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი ჩემს წინაშე და ელოდებიან, რომ მე მათ ოდესმე პასუხს მოვთხოვ. აბა, სხვა რა უნდა იყოს?

ვინც ჩემზე აუგი ილაპარაკა, ყველას შევხვდები აუცილებლად, რა თქმა უნდა, თუ არ გაიქცნენ და არ დამემალნენ. თუმცა არავითარი ანგარიშსწორება, არავითარი რევანში, მაინტერესებს მათი მოტივაცია და სახელმწიფოსადმი მათი დამოკიდებულება, ეს იქნება შეხვედრის მთავარი არსი. საკრუხედ გამზადებული დედლებივით რომ აკაკანდნენ, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მე არა ვარ მათთვის ვიღაცა და რაღაც აქვთ ჩადენილი ჩემს მიმართ უსამართლოდ.

როცა ტელეკომპანია „პირველმა“ და „მთავარმა“ გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს მე მივითვისე ხალხის კუთვნილი მილიონობით თანხა, ეს ბავშვები, ეს ვითომ ჟურნალისტები ვიღაცამ გამოგზავნა, რედაქტორმა, ხელმძღვანელმა, ეს ბავშვები მე არ მიცნობენ, ის პატივცემული რედაქტორიც მიცნობს თუ არა არ ვიცი და ვეკითხები ამ ბავშვებს, იცნობთ ჩემს საქმეს თუ არა, მპასუხობენ, რომ არ იციან, მაგრამ ასე ამბობენ თურმე ჩემზე ვიღაცები, ვინ ამბობს, ამასაც არ მეუბნებიან, მოკლედ, აზრზე არ არიან, მაგრამ ეს ხომ არის პიარის ნაწილი ანგარიშსწორებისთვის?! როცა ასე დგას საკითხი, მაშინ იქ ჟურნალისტიკის ადგილი არ მოიძებნება. ასეთი პიარისა და უპასუხისმგებლო მედიასაშუალებების დამოკიდებულებებს შეეწირა ჩემი დევნილობის 19 წელი, შეეწირა მამაჩემის სიცოცხლე, ბიძაჩემის და ჩემი სიძის სიცოცხლე, 2 წლის იყო ჩემი უმცროსი შვილი, საქართველოდან რომ განგვდევნეს. მითხრან: რატომ დამწამეს ცილი, რას მერჩოდნენ და რა დავაშავე.

ახლა ვაგროვებ მასალებს, შევკრებ, ანალიზს გავუკეთებ სამართლებრივად და მოვითხოვ, ბოდიში მოიხადონ სასამართლოს საშუალებით ჩემს წინაშე.

ყველას შევხვდები, ასევე მიხეილ სააკაშვილსაც. კარგია, რომ ის დღეს საქართველოში იმყოფება. ჩავეწერები მასთან შეხვედრაზეც, თუნდაც საავადმყოფოში იყოს. ფსიქიური დაავადება, რაც აწუხებს სააკაშვილს, თუ არ დაუმძიმდება, თუ არის შერაცხადი, დაისწროს ვინც უნდა, მშობლები, თავისი ახლობლები, ნათესავები, ადვოკატები, ვინც უნდა მოვიდნენ, მე მზად ვარ, მაინტერესებს რას იტყვის მისი დედა, ქალბატონი გიული იმის გამო, რაც დამართეს დედაჩემს, ჩვენს ოჯახს, თქვას ეს სააკაშვილმა დედამისის ან მამამისის თანდასწრებით. რომ გამივრცელეს ჭორები: ოქროები, ნიანგები, რაშები და ა.შ. ერთი სიტყვაც კი არ წერია ჩემს საქმეში ამ თემებზე. კიდევ ვიმეორებ: ჩემი საქმე არის ჩემი ქონებრივი და საფინანსო დეკლარაცია, რომელსაც ვავსებდი 1997 წლიდან. ჩემს საქმეში ერთი ლარი საბიუჯეტო თემაც კი არ არის.

მე არ ვაპირებ აგრესიის გამოვლინებას სააკაშვილის მიმართ, ავადმყოფი კაცია, რით არის ავად, არ ვიცით და ავადმყოფ კაცს რა უნდა ველაპარაკო? მაგრამ მინდა მივიდე, თვალებში ჩავხედო და ვკითხო: რას მერჩოდი, მიშა, რა გინდოდა, რატომ გამიკეთე ეს საშინელება, რატომ განმდევნე ქვეყნიდან, რატომ მომიკალი ოჯახის წევრები ნერვიულობით, ზეწოლებით, დაკითხვებით, დამცირებებით, რატომ მიქციე საკუთარი ქვეყნიდან დევნილებად მცირეწლოვანი შვილები, რატომ გვახეტიალე ჩუმად, შიშით სხვადასხვა ქვეყანაში?!

— სააკაშვილი ბოლო ხანებში თავის თანაგუნდელებზე ამბობს, არ ვიცნობო და შეიძლება თქვენზეც თქვას: ლევან მამალაძეს არ ვიცნობო?

— თვითონ ბევრი რამე შეიძლება თქვას, მაგრამ მე მიხეილ საკაშვილს 1992 წლიდან ვიცნობ. ეროვნულ მოძრაობაში რომ ვიყავი იმ პერიოდიდან. არავინ არ იკარებდა მაშინ მიშას და მის ძმაკაცებს — მისნაირ ავანტურისტებს. დაძვრებოდნენ თაგვებივით და იქედანაც ჰქონდათ ჩემი ბოღმა, მე რომ ეროვნულებთან მეგობრულად ვიყავი.

— სოციალურ ქსელში ოპოზიციის მხარდამჭერები სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ მამალაძე საქართველოში რუსეთიდან არის გამოგზავნილი, რადგან ხელისუფლებაში რუსეთუმეები არიანო.

— ყველა თავისი განვითარების და აზროვნების დეფორმირების მიხედვით აფასებს მოვლენებს.

მე 12 წელიწადი ვცხოვრობდი უკრაინაში, შემდეგ ამერიკაში, რა რუსეთი, საიდან მოაქვთ ასეთი ბოოდვითი აზრები. ეს არის ჩვეულებრივი სიმპტომი დაავადების.

— მოსალოდნელია თუ არა, გარკვეული დროის შემდეგ რაიმე თანამდებობაზე გიხილოთ?

— საერთოდ არ მაინტერესებს არანაირი თანამდებობა, როგორც კი ჩამოვედი, ჩავეხუტე დედაჩემს და ჩემს ახლობლებს. ეს იყო და არის დიდი ბედნიერება.

საბუთებისთვის რომ ვიყავი საჯარო რეესტრში, დამეტაკნენ ჟურნალისტები: პარტიას ხომ არ შექმნიო. რა დროს პარტიაა, საქართველოში იმდენი პარტიაა, კიდევ რა პარტიის დამატება უნდა ამას. ათასჯერ მაქვს ნათქვამი: არ მაინტერესებს პოლიტიკა. პოლიტიკა, როგორც მეცნიერება მაინტერესებს, მაგრამ, პრაქტიკულად, არ ვაპირებ ამ საქმეში ჩართვას. გახლავართ პოლიტტექნოლოგიების სპეციალისტი, კარგად მესმის, რას ნიშნავს სახელმწიფოს მართვა, კრიზისული მენეჯმენტის, კრიზისების მოგვარების ტექნოლოგია.

წლების განმავლობაში სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრს ვხელმძღვანელობდი უკრაინაში, შემუშაებული გვაქვს რეკომენდაციები, კრიზისების გადაჭრის ფორმულები, ვიცნობთ პრობლემების შესწავლა-გადაწყვეტის გზებს. ჩვენ შევთავაზებთ ჩვენს ხედვებს „ქართულ ოცნებას“ და გაითვალისწინებენ თუ არა, ეს მათი საქმეა.

მტრების გულის გასახეთქად: მე ჩამოვედი საქართველოში და არსად წასვლას არ ვაპირებ. შვილებიც აქ აპირებენ ყოფნას და ჩემი მეუღლეც. ჩემი უფროსი შვილი — ანა-მარია 26 წლისაა, ის ადვოკატია ჰიუსტონში, ნიკა საერთაშორისო ფინანსების და საერთაშორისო იურისპრუდენციის სპეციალისტია, ამჟამად დოქტორანტურას გადის, ლეგა მალე დაამთავრებს ტურიზმის ბიზნესს, ვნახოთ, რა იქნება. ახალგაზრდები არიან, სად წავლენ, რას იზამენ, მათი გადასაწყვეტია, მაგრამ სამშობლო ისე უყვართ, არ მგონია, სხვაგან ყოფნა ერჩივნოთ.

— ბატონო ლევან, თქვენ ამბობთ, რომ ძალიან გინდათ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა, ნუთუ საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში არასდროს მოგცემიათ ამის შანსი?

— ჩვენ ისეთ რეჟიმში ვცხოვრობდით, არავისთან შეხვედრის არც სურვილი გვქონია და არც შესაძლებლობა, დაახლოებით 12-14 წელიწადი ვიყავით განუწყვეტელ დევნაში და ვერ გავრისკავდით ამას. სააკაშვილი მეძებდა ყველგან, ჩემი მოკვლა და შვილების ამოხოცვა უნდოდა.

მაგრამ მადლობა ღმერთს, ახლა სამშობლოში ვარ და ამ დღეებში ვაპირებ წავიდე გურიაში, ვნახო ჩემი ნათესავები, მოვინახულო მამაჩემის საფლავი. შემდეგ მოვამზადებ თხოვნას და პირადად ვკითხავ სააკაშვილს, მიპასუხოს — რა დავუშავე მას ან ქვეყანას.

ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვინც სახელწმიფოს მიაყენებს ფინანსურ ზარალს, მე რომ ერთი ლარიც კი მქონოდა მითვისებული, შუბლზე ამაწებებდნენ ამის დამადასტურებელ საბუთს, მაგრამ ერთ საბუთს ვერ მაჩვენებს ვერავინ, რადგან არ არსებობს ბუნებაში ასეთი რამ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ომი, რომელსაც გამარჯვებული არ ეყოლება

ომი უკრაინაში – გლობალური ინტერესების ბარბაროსული გამოვლინებები

იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამყარო გლობალური საფრთხის წინაშე რეალურად დგას!

ეჭვიც არ იყო, რომ 24 თებერვალს კიევზე განხორციელებული თავდასხმით „სპეციალური სამხედრო ოპერაცია" კი არა, რუსეთ-უკრაინას შორის დაიწყო ნამდვილი ომი, - დაუნდობელი, უსასტიკესი, ყველა საშუალებისა და ფორმის გამოყენებით.

როგორც არ უნდა დაამძიმო, უკრაინაში არაფერი უცხო არ ხდება, რაც არ მომხდარა ავღანეთში, ერაყში, ჩეჩნეთში, დნესტრისპირეთში, იუგოსლავიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, სირი-

აში, ალეპოში, დამასკოში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში... იქაც იწვოდნენ სახლები, იხოცებოდნენ ბავშვები, ქალები... აუპატიურებდნენ, აწამებდნენ. უფრო უარესიც, - მოწყვეტილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ...

ასე დაიწყო „არაბული გაზაფხულიც". განსხვავებული ფორმის და საბაბის გარდა, ერთნაირია ყველა ომის მოკლე ანოტაცია, ტრაგიზმიც და ანატომიაც. ყველა მათგანს ერთი სახე ჰქონდა და ძლიერ მავანთა საერთო გლობალური ინტერესი კვებავდა, თუმცა აქედან გამოცდილება ვერავინ გაითვალისწინა.

გლობალურ ინტერესში, უწინარესად, გავლენათა გადანაწილების დაუნდობელი სწრაფვა იგულისხმება.

ადრე, ოკეანის გაღმა აგორებულ მსოფლიო მმართველობის ამ დაუოკებელ სურვილს სტალინის სოციალისტური ერთობა ანეიტრალებდა, მერე, სხვა ქვეყნებთან ერთად, ამერიკისთვის „გზიდან ჩამოცილების" ძირითადი სამიზნე „ცივი ომით" ქანცგაცლილი საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთი აღმოჩნდა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, ეს დაპირისპირება უფრო მასშტაბური და სასტიკი ხდება - ყოველი მხრიდან ახლა უკვე ატომურ ბომბებს უქარქაშო ხმლებივით იქნევენ. მასობრივი მოსპობის ქობინები დღეს სხვებზე გავლენის თავსმოხვევის ინსტრუმენტად გამოიყენება. მუქარა, დაშინება, შანტაჟი, იარაღის ჟღარუნი საერთაშორისო ურთიერთობის თანმხლები ნაწილი გახდა. მშვიდობისთვის, ჯანმრთელობისთვის, ადამიანთა კეთილდრეობისთვის, უფრო ნაკლები კეთდება, ვიდრე სიძულვილის პროპაგანდას, მასობრივი მოსპობის იარაღის გამოცდას, მათ ტირაჟირებასა და გამოყენებას ხმარდება.

საიდან მოდის ეს სისასტიკე ან საითკენ მიდის?! — „ყოფნა?.. არ ყოფნა?" შექსპირის მიერ დასმულ სამარადისო საფიქრალივით, საზოგადოებას ამ კითხვებზე პასუხი არ გააჩნია.

კაცობრიობის მიერ გამოვლილი გზა ხოცვა-ჟლეტის, სისასტიკის, ბარბაროსობის ისტორიაა, რომელსაც მემატიანე მეტწილ გმირობად წარმოაჩენს, თუმცა ყველა ომს თავისი პროპაგანდა აქვს, - ინფორმაციული ტორნადო თავის რკალში ითრევს ტყუილს და მართალს, მერე კი იმას ფქვავს, ვის ინტერესებსაც ეს ომი ემსახურება. ყველა შემთხვევაში, ომი უდანაშაულო ადამიანთა ღია სასაკლაოა. ის ისეთ მხეცურ ინსტინქტებს აღვიძებს ადამიანებში, მისგან თავდაღწევა შეუძლებელია - მერე შერყეული ფსიქიკა, დაგროვილი ზიზღი თაობებს გადაეცემა და შურისძიების მოტივები უკვალოდ არ ქრება. აგრესია თუ სისასტიკე რომელიმე ერის ბუნებასა და ხასიათში კი არ სახლობს, არამედ სათავეს მათზე ომის თავსმოხვევიდან იღებს, მერე გადადის უკონტროლო სიგიჟესა და ქრონიკულ ფსიქოზში, რომლითაც ადამის მოდგმა სამოთხიდან გამოძევების შემდეგ დაავადდა და მისგან განკურნების თერაპია, ადამიანურად ცხოვრება ვერ ისწავლა.

რუსეთ-უკრაინის ომიც ისტორიული ბარბაროსობის ნაწილია და ბევრად არ გამოირჩევა კლასიკურისგან, მაგრამ მას აშკარად გამოხატული განსხვავებულობა გააჩნია:

საგულდაგულოდ შეფუთვის მიუხედავად, პირველივე დღიდან აშკარა იყო, რომ ამ ომში ჩართული ძალები იქ ტერიტორიების მიტაცებისთვის არ იბრძვიან. ამ უსასტიკეს თვალხილულ დაპირისპირებაში რუსეთი და უკრაინა აღმოჩნდნენ პირობითი ბარიერის გაღმა-გამოღმა. სინამდვილეში კი რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის ტერიტორიაზე, რუსულ-უკრაინელი ცოცხალი ძალის გამოყენებით, ამერიკა, ბრიტანეთი და მათი გავლენის ქვეშ მოქცეული სხვა ქვეყნები ახალი გლობალური წესრიგისთვის იბრძვიან. ამ ომში ბრმა ტყვიის სამიზნედ გამოყენებულია მოსახლეობა, რომელთაც პიროვნულად ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ და არც ომის დაწყებაში მიუძღვით წილი. ყველაზე ამაზრზენი კი ის არის, დამპყრობლური და კოლონიური სწრაფვის წარსულის მქონე ქვეყნები, ვითომ „შეშფოთებული გმობენ" მშვიდობაზე დამუქრებულ აგრესიას და სოლიდარობას იმით გამოხატავენ უკრაინელი ხალხის მიმართ, რომ აწვდიან ზემძლავრ შეიარაღებას, საბრძოლო მასალებს, სამედიცინო საშუალებებს, სურსათს, სტრატეგიულ ნედლეულს, ფინანსურ რესურსებს - ლენდ-ლიზის პროგრამა უკვე მოქმედებს, აქედანვე განიხილავენ დანგრეული ქალაქების სრული რეაბილიტაციისთვის სახსრების მობილიზების შესაძლებლობებს. მაგრამ ყალბ წარმოდგენებსა და ილუზიებისგან თუ გამოვიხედავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ მსოფლიოს მიერ „შეგროვებული ეს ჰუმანიტარული ტვირთი" და ომით დანგრეულის აღდგენის მოტივაცია მოსახლეობის კეთილდღეობას, ომის შეჩერებას კი არა, საომარი მოქმედებების გააქტიურებას ხმარდება. ასეთი „დახმარებით" კი ცოცხალ ძალებს უკრაინაში ერთურთს ახოცინებენ. უკრაინასა და ბევრ მის გულშევატკივარ ქვეყანაში დღეს - Слава Україні! Героям Слава! - მისალმების ფორმად იქცა. მშვიდობა უკრაინასო, არავინ გაიძახის და ამ ხანგრძლივი სამკვდრო შერკინების შეჩერებას არავინ ცდილობს. ესაა აქ საყურადღებო, თუმცა ამის ახსნას მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი აქვს. არც იმაზე კეთდება აქცენტები, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დანგრეული ქალაქები, დახოცილი ბავშვები, ქალები, მოხუცები, - ეს მხოლოდ რუსეთის ნამოქმედარი არ არის, ეს ამ ომში ჩართული ქვეყნების კაცთმოძულე

პოლიტიკის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების მხილებაცაა და ამაში თანამონაწილეა ყველა, ვინაც უკრაინას ომისკენ უბიძგა, დახმარებას და თანადგომას დაჰპირდა, გონივრულ კომპრომისზე წასვლა არ ჩააგონა. ყველაზე ამაზრზენი კი ის არის, რომ მათ დიდი ხანია უჭირავთ თვალი სარგებელზე, რომელიც ომის დასრულების სხვადასხვა ვარიანტიდან შეიძლება მიიღონ. ომის წისქვილი ადამიანების სიცოცხლეებს სპობს, თუმცა ბევრისთვის „სარჩო-საბადებელსაც" ფქვავს - გლობალური ინტერესის ყველაზე დიდი სისასტიკე სწორედ ამაში ვლინდება.

უკრაინელი ხალხი როცა იბრძვის, ანთებულია, სიცოცხლეს სწირავს და თავის საცხოვრისს, დამოუკიდებლობას, ქვეყანას იცავს - ეს, რა თქმა უნდა, მაღალი ზნეობაა! ეს ხალხი პატივისცემას, თანადგომას, ყველაზე უფაქიზეს მოპყრობას იმსახურებს. მაგრამ როცა მშვიდობიან მოსახლეობას, სხვათა დაპირისპირებისა და განკერძოებული მიზნების გამო, ასეთ მდგომარეობაში აგდებენ, ეს არანაკლები საშინელებაა, ვიდრე ათასობით უმოწყალო

კაცთჟლეტვა;

დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ გლობალური ინტერესების ალიანსმა უკრაინას თავისი ორი განუყრელი მეზობელი - რუსი და ბელარუსი, სისხლისმიერი ძმები, ერთდროს თანამოაზრეები და თამამებრძოლები, ერთმანეთს გადაკიდა, ძმათამკვლელ ომში ჩაითრია. დიახ, გადაკიდა და ჩაითრია! - სხვამხრივ, მათ ისტორიული სიძულვილის საფუძველი არ აქვთ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, რუსეთს უკრაინის, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნების, კავკასიის, აღმოსავლეთი ევროპის და თუ გნებავთ, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის, კოლტურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერების, მათ შორის, ატომური ენერგეტიკის, ეკონომიკის განვითარებასა და სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. გლობალურმა ინტერესმა, მსოფლიო პროპაგანდისტულმა მანქანამ და ხრუშოვის გონებაჩლუნგობით წამოწყებულმა აგიტაციამ შეძლო დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ცოდვების რუსეთისთვის აკიდება, მისი ისტორიული მისიის დაკნინება, მტრის ხატის, უმადურობის დამკვიდრება. საერთო მეცადინეობითა და შიდა მოღალატეობრივი რესურსების გამოყენებით, სარწმუნოებრივად, მენტალურად, კულტურულად იდენტური, საერთო ისტორიის, ეკონომიკურად გადაჯაჭვული და განვითარების ერთიან პლატფორმაზე მდგომი, ერთიანი ფესვიდან განტოტილი ეს სამი ვარჯი დღეს იარაღით არკვევს ურთიერთობას;

არავისთვის არ უნდა იყოს „აღმოჩენა", რომ მსოფლიო წესრიგი, რომელსაც 1991 წლის დეკემბერში ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის მიერ „ბელოვეჟსკაიას შეთანხმებით" დაედო სათავე, მათ ტერიტორიულ მთლიანობას, ერთიან თავდაცვით სტარტეგიას და სრულ ჰარმონიულ განვითარებას

ნატოზე მეტ სხვა ათას წინაპირობის გარანტიებს უქმნიდა. მაგრამ ეს არანაკლებ „ძლიერი კავშირი“ სწორედ გლობალური ინტერესებიდან იმთავითვე „ამოვარდა“ და მისი დაშლა „ცეცხლითა და მახვილით“ დიდი ხანია მიმდინარეობს. რუსეთიცა და უკრაინაც ფარულ, შორსგამიზნულ ამ გლობალურ ინტერესებს პირწმინდად წამოეგო - რუსეთი თავის ფანდზე (იმპერიულ სულისკვეთებაზე) დაიჭირეს, უკრაინის ხელისუფლება კი კორუფციულ ინტრიგებსა და ნაციონალურ ამბიციებში გაიხლართა.

ყოველგვარი შელამაზების გარეშე უნდა ითქვას, რომ ეს ომი ამერიკის ჰეგემონური მისწრაფებებზე დამორჩილებული ქვეყნების ხელისუფლებების უგუნური პოლიტიკის გამოა აალებული და ენერგომატარებლებზე გავლენის გადანაწილებას ემსახურება. ფორმალურად, კი უკრაინა ნატოზე ოცნებას, ხელმძღვანელობის პოლიტიკურ სიბეცეს და ღია ბაქიობას შეეწირა. უკრაინა რუსეთთან ომისთვის, რუსეთის გასანადგურებლად გლობალურმა ძალებმა სარფიანად „დაიქირავეს“ და მას ამ ომიდან „დეზერტირობის“ საშუალება არ მისცეს.

თავის მოტყუებაა სხვა საბაბის ან დაპირისპირებათა სცენარების წარმოდგენა, რეალობა ისაა, რომ სხვათა ფარული მიზნების მისაღწევად, რუსეთსა და უკრანაში ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას და ერმანეთს ერთი წარმომავლობის ხალხი ებრძვის;

ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირებიც მონაწილეობენ. ნატო ხმამაღლა აცხადებს, რომ არ აპირებს დაპირისპირებაში ჩართვას, მაგრამ ის არც მხარეთა დაშორიშორებას ცდილობს. პირიქით, - თანადგომას უცხადებს და აგულიანებს უკრაინას.

გლობალური ინტერესების უსასტიკესი გამოვლინებების ნამდვილი სახეა ომში ირიბად მონაწილე სახელმწიფოების მიერ მთავარი მიზნებისა და მოქმედებათა კონსპირაციისთვის არასაომარი სანქციების შეთანხმებულად გამოყენება. ფაქტობრივად, ეს ნამდვილი ჰიბრიდული ომის შემადგენელი ახალი სახეობაა, რომელიც რუსეთის „კომპლექსური დასუსტებისთვისაა“ მიმართული. ამ „ეფექტიან ავანტიურას“ ბევრი აღფრთოვანებული შეხვდა და შედეგებს სიხარულით მოელის. მაგრამ აწ უკვე დროა მათაც შენიშნონ, რომ ამ სანქციებმა მოკლევადიან პერსპექტივაში „ეფექტიანად“ ვერ იმუშავა.

მოცემულ ვითარებაში გადაჭარბებულია იმაზე მინიშნება, რომ უკრაინაში წყდება მშვიდობის, თავისუფლების, მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ბედი. ეს ასე ნამდვილად არ არის. საქართველოს და სხვა ქვეყნების მომავალი გონივრულ ორიენტაციაზეა დამოკიდებული. უფსკრულში გადაჩეხვასა თუ განვითარებაზე ყოველი ქვეყანა განაჩენს თვითონ აწერს ხელს.

დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ არა სისხლისღვრით, იარაღითა და ადამიანური მსხვერპლით. ყველა პრობლემა ქვეყნებს, ხალხებს და ადამიანებს შორის მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა წყდებოდეს. უიარაღო ბრძოლა უფრო რთულია, გონიერებას, გამოცდილებას, წინგახედულობას საჭიროებს. მმართველობით იერარქიებში კი კრიმინალური ცნობიერება დომინირებს და როგორც ჩანს, მსოფლიო ამისთვის მზად არ არის.

მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება იმითაცაა გამორჩეული, რომ ამ ომში ერთიანი ფრონტით რუსეთის წინააღმდეგ სხვების ჩათრევასაც ღიად ცდილობენ. მათ შორის, განსაკუთრებული სამიზნე მოლდოვა და საქართველოა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „მეორე ფრონტის“ გახსნის მოთხოვნა უკრაინის პრეზიდენტის ოფისიდან მოდის. მოწოდებები, ბრალდებები თუ ზეწოლის სხვადასხვა გამოვლინებები, რომელიც საქართველოს მიმართ გაისმის ან ხორციელდება, უკვე გონივრულობის ზღვარს გასცდა და უკურეაქციას იწვევს. მოქალაქეების შიშველი პატრიოტიზმის წინ აფარება და კარგაღებულ გალიაში დამწყვდეული „გრიზლის“ ხელჯოხით წვალება აზრიან მოქმედებაში ვერ თავსდება, არც ქვეყნის სიყვარულია და არც მოსახლეობის დაცვაზე პასუხისმგებლობა. ეს სიშლეგე და შიშველი უგუნურობაა!

ახლაც, როცა ცეცხლი უკვე გიზგიზებს, უკრაინის პრეზიდენტი, სამშვიდობო ინიციატივების ნაცვლად, ხელებგაწვდილი ყველას ევედრება: გვიშველეთ, იარაღი მომაწოდეთ, გვერდში დამიდექით, ერთად გავანადგუროთ მტერი, ჩვენ გავიმარჯვებთ, რუსეთს დავამარცხებთო.

რომელ გამარჯვებაზე ან ვის დამარცხებაზე უნდა იკვეხნო ან დაიქადნო ასე, როცა აღმოსავლეთ-სამხრეთი უკრაინის ქალაქების უმეტესობა პირწმინდად განადგურებულია, მოსახლეობა კატაკომბებში ჩაწყდა, ნაწილი უვადოდ განიდევნა საკუთარი საცხოვრისიდან, დარჩენილები კი თავსდამტყდარი კოშმარიდან ვერასდროს გამოვლენ?!

დახოცილებს ვინ მოაბრუნებს, დარჩენილებს ვინ აღუდგენს შერყეულ ფსიქიკას?

ყალბადაღქმული თავისუფლებით ფრთებასხმულ და დამოუკიდებლობის ილუზიით მორქეფალ „ხალხის მსახურებს“ უნდა ესმოდეთ, ხელისუფლის უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მოსახლეობა კი არ აიფარო, არამედ განარიდო ჭირსა და უბედურებას! მიუღწევად პროექტებში თუ „უზრუნველი ცხოვრების“ სატყუარა გაერთიანებებში შესვლა „მსხვერპლს მოითხოვს“ - იქ კარი ვითომ მუდმივად ღიაა მორჩილებისთვის, მაგრამ მკაცრი სტანდართული წინაპირობების, გამოცდების ჩაბარების და კითხვებზე პასუხის გაცემის დამღალავ პროცედურებთან ერთად, მიზანშეწონილობის უშეცდომო განსაზღვრაცაა აუცილებელი. უკრაინის ხელმძღვანელობა ამისთვის მზად არ აღმოჩნდა!

მიმდინარე გლობალურმა დაპირისპირებამ ღია გაკვეთილები უკვე დადო და კატასტროფულ შედეგებს რომ განერიდოს, საზოგადოებამ მასში ყველაზე თვალხილული სამიზნეები მაინც უნდა შენიშნოს:

უკვე მერამდენედ, თუმცა ყველამ უნდა დაინახოს, რომ ვერც ერთი საერთაშორისო ინსტიტუცია, გაერთიანება თუ კავშირი ვერ აღმოჩნდა ავტორიტეტული და მშვიდობისმყოფელი. ვერც ერთმა შემლო დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგომა და მათი სამშვიდობო დაშორიშორება. უფრო პირიქით ხდება - მათი სოლიდარობა, მოწოდებები და დახმარება მიმართულია იქითკენ, რომ ამ ომმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს, რუსეთის დასუსტებას უკრაინაც შესწირონ;

სავსებით სწორად მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, როცა სახიფათო გამოწვევებს არ აჰყვა, გარედან და შიგნიდან დაგებულ ხაფანგში არ გაიხლართა. სიფრთხილე, სიდინჯე, პირდაპირობა, პრინციპულობა, რაც მთავრობის ხელმძღვანელმა გამოავლინა, სულაც არ ნიშნავს შიშსა და სიმხდალეს - ასე უნდა იქცეოდეს გონიერი ხელისუფალი. ჩვენი ოპოზიციონერები, თითქოს განსხვავებულ მიზნებსა და ამოცანებს ხედავენ, სინამდვილეში კი სტრატეგიის გარეშე, შინაარსისგან დაცლილი, გარეგნული იერის, უსახური აქტორები არიან. მათი ურთიერთ ქიშპობა და დაუნდობელი წინააღმდეგობა ქვეყნის სასიკეთოდ არ მუშაობს;

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, რუსეთთან ურიერთობის ყველაზე ხანგრძლივი და მწარე გამოცდილება ჩვენ გვერგო. რუსული აგრესიის ახალი გამოვლინებები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ტვინამღვრეულ და გარედან მართულ დესტრუქციულ ოპოზიციას რუსეთთან ყოველგვარი კავშირი ღალატად, დანაშაულად მიაჩნია. მათ მხოლოდ დაპირისპირება და ძალის დემონსტრირება მიაჩნიათ მართებულად. ეს გზა დამღუპველია! რუსეთთან დიალოგი გარდაუვალია. სხვა თუ არაფერი, ჩვენმა „სამშობლოზე შეყვარებულმა“ ოპოზიციურმა ძალადობამ არანაკლებ გულანთებული წინაპრების გმირული საქციელი გაიხსენოს თუ როგორ მიდიოდნენ ისინი მტერთან და ხალხის გადასარჩენად, მშვიდობის თუნდაც მცირე დროით გახანგრძლივებას უყოყმანოდ ეწირებოდნენ.

ომის ტოლფას საშინელებად იქცა ყალბი ჟურნალისტიკა, თავაშვებული ტელევიზიები, სიცრუის ტირაჟირება. მოვლენათა ტენდენციური გაშუქება და ბინძური ინფორმაციული ნიაღვარი ადამიანის გულმკერდს ტყვიასავით ატანს. დემაგოგია, ჭორიკანობა, ცილისწამება არ განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს და კანონმდებელმა უნდა გამონახოს ასეთ განუკითხაობაზე კონტროლის სამართლებრივი ფორმა.

ცხადია, სხვაც ბევრია თავსატკივარი პრობლემა და კაცობრიობამ, საზოგადოებამ თვითონვე უნდა იზრუნოს მათ გადასაჭრელად. სხვანაირად, ადამიანებს დანაღმულ ველზე მოუწევთ ბრმად გადაადგილება.

ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლება და ერთმანეთის გვამებზე გადავლით მიღწეული სხვისი კეთილდღეობა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

მსოფლიოს მშვიდობა, ხალხს კეთილდღეობა სჭირდება!

„ჩვენ შარშან წავაგეთ ომი შაშხანებიან მწყემსებთან. ახლა ვუპირისპირდებით ქვეყანას, რომელსაც ბირთვული იარაღის უდიდესი მარაგი აქვს“

„ნატოს გაფართოება არავის, არცერთ ქვეყანას არ ემუქრება, რადგან თავდაცვითი ორგანიზაციააა“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ფინეთისა და შვედეთის მიერ ალიანსში გაწევრიანებაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადის შემდეგ. აღსანიშნავია აღსანიშნავია, რომ ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანება ალიანსის ოცნება იყო. შვედეთი თითქმის 200 წელი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, თუმცა საკმაოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები გააჩნდა. ასევე ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი ჰქონდა ფინეთსაც. მოსახალხობის პროტესტის მიუხედავად, ორივე ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე გააკეთა განაცხადი ალიანსში გაწევრიანებაზე. აქ ჩვენი ქვეყნისთვის საინტერესოა, რომ მათი ერთი თქმაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ალიანსის ხელმძღვანელობა უმალ დათანხმებულიყო ნატოში მათ გაწევრიანებაზე.

ერთიანი აზრი ალიანსში, როგორც გამოჩნდა, არ ყოფილა. ფინეთისა და შვედეთის ნატოში მიღების წინააღმდეგ თურქეთი გამოვიდა. პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის განცხადებით, ორივე ქვეყანა აქტიურად უჭერს მხარს ქურთ სეპარატისტებს, არც ძებნილი პირები გადაუციათ თურქეთისთვის. მოსახლეობამაც დაუჭირა მხარი თურქეთის ხელისუფლებას და მრავალათასიანი საპროტესტო აქციები გამართეს ანკარაში. ფინეთისა და შვედეთის ხელისუფლებებმა გადაწყვიტეს, დელეგაცია მიავლინონ ერდოღანთან მოსალაპარაკებლად. „... ჩამოვიდნენ, მაგრამ ჩვენთვის არასასურველი სტუმრები იქნებიან, მაინც ვერ დაგვიყოლიებენ“, — განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთმა საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა — ამერიკული პრესის მიხედვით, თურქეთი, შესაძლოა, დათანხმდეს ალიანსში ახალი წევრების მიღებას, თუ მოუხსნიან რუსეთისგან შეძენილი იარაღის გამო დაწესებულ სანქციებს, აღადგენენ F-35 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების შეძენის პროგრამაში. ექსპერტების შეფასებით, თურქეთი, ფაქტობრივად, ევაჭრება აშშ-ს, ევროკავშირს, ნატოს. ერდოღანმა ისიც განაცხადა: „...თუ ჯო ბაიდენს კითხვები აქვს ჩვენთან, შეუძლია გვეწვიოს ანკარაში და აქ განვიხილოთ ყველა სადავო საკითხი“. ექსპერტების შეფასებით, საკმაოდ თამამი განცხადებაა ერდოღანის მხრიდან. თუმცა აღნიშნავენ მის შეუვალ, მებრძოლ ხასიათს. ერდოღანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერ გაწყვეტს რუსეთთან კავშირს, რადგან ეკონომიკურად თურქეთი ბევრად არის დამოკიდებული რუსეთზე. აღსანიშნავია მეორე გარემოებაც — ახალი წევრების წინააღმდეგია ხორვატიაც, რომელსაც თავისი მოთხოვნები აქვს. რით დასრულდება ნატოსა და თურქეთის ჭიდილი, მალე გამოჩნდება.

ვიდრე ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურები, მათ შორის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობენ ერდოღანის დაყოლიებას, ჯო ბაიდენმა კანდიდატი ქვეყნების მეთაურებს — შვედეთის პრემიერ-მინისტრს მაგდალენა ანდერსონსა და ფინეთის პრეზიდენტს საული ნიინისტიოს უმასპინძლა.სამმხრივი შეხვედრის შემდეგ ისინი ერთად გავიდნენ ჟურნალისტებთან, მაგრამ კითხვის დასმის საშუალებას არავის მისცეს. მხოლოდ ბაიდენმა განაცხადა: „... ნატოში ახალი წევრები საფრთხეს არავისთვის წარმოადგენს. ალიანსის გაფართოება 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდება“. აშშ-ში გამგზავრებამდე ფინეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მის ქვეყანაში რუსეთის შეჭრის არანაირი საფრთხე არ არსებობს. ჩინეთის პრესა კი აღნიშნავს, რომ შვედეთი და ფინეთი ნატოში გაწევრიანებით თვითმყოფადობას დაკარგავენ.



უკრაინისთვის გამოყოფილი 40-მილიარდიანი დახმარება დაამტკიცა აშშ-ის სენატმა. წინააღმდეგი მხოლოდ 11 რესპუბლიკელი სენატორი გამოვიდა, მათ შორის, რენდ პოლი, რომელმაც გასულ კვირას დაბლოკა ინიციატივა. რესპუბლიკელები სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებენ დემოკრატებისა და ჯო ბაიდენის პოლიტიკას. რესპუბლიკელები განსაკუთრებით შეშფოთებულები არიან უკრაინისთვის იარაღის უკონტროლო გადაცემით. სენატორ მეტ გეტცის თქმით, მიწოდებულ იარაღზე უნდა დაწესდეს კონტროლი, რათა შავ ბაზარზე არ მოხვდეს. ასევე აუცილებელ პირობად მიიჩნევს ის გადაცემული თანხების კონტროლს, რათა თავიდან აიცილონ ფინანსური მაქინაციები. სენატორს მიაჩნია, რომ დიდძალი იარაღის მიწოდებით აშშ მონაწილე ხდება რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტში, რაც დაუშვებელია. „... ჩვენ შარშან წავაგეთ ომი, დავმარცხდით შაშხანიან მწყემსებთან (იგულისხმება თალიბები). ახლა ვაპირებთ დავუპირისპირდეთ ქვეყანას, რომელსაც ბირთვული იარაღის უდიდესი მარაგი აქვს“, — განაცხადა მეტ გეტცმა. იმედგაცრუებულია ცნობილი მილიარდერი ილონ მასკი, რომელმაც სახალხოდ დადო პირობა: „... დემოკრატებს აღარასოდეს დავუჭერ მხარს, აღარც ხმას მივცემ, რადგან სიძულვილისა და განხეთქილების პარტიად გადაიქცა“. მასკი მსუყედ აფინანსებდა დემოკრატებს ყველა არჩევნებზე. ახლა... მასკის დამთავრებულიც არ ჰქონდა თავისი სიტყვები, უკვე ამუშავდა აშშ-ში პირობირებული „თავდასაცავი“ პროგრამა. მავანმა გამოძებნა ვინმე სტიუარდესა, რომელსაც თურმე ფრენის დროს სექსუალურად ავიწროებდა მასკი. ამისთვის თურმე კომპენსაციაც კი გადაუხდია. ვნახოთ, თუ მოერევიან დემოკრატები ქვეყანაში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს.

ნაცბატალიონ „აზოვის“ მებრძოლები, ალყაში მოქცეულები თითქმის ერთი თვე ითხოვდნენ დახმარებას, მაგრამ უშედეგოდ. გასულ კვირას „აზოვსტალში“ ჩარჩენილი მებრძოლების მეთაურებმა უკრაინის ხელისუფლების დაუკითხავად გამართეს მოლაპარაკება რუსეთის ჯარების წარმომადგენლებთან. პარალელურად, მებრძოლებმა ეტაპობრივად გამოსვლა და იარაღის დაყრა, ფაქტობრივად, ტყვედ ჩაბარება დაიწყეს. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმერ ზელენსკი თავის ადმინისტრაციასთან ერთად დანებების წინააღმდეგი იყო და მოუწოდებდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ.

მებრძოლების ტყვედ ჩაბარების პროცესში, რომელიც ხუთი დღე გრძელდებოდა, ზელენსკი ყოველდღიურად განსხვავებულ განცხადებებს აკეთებდა. ეს მაშინ, როდესაც ტყვედ ჩაბარების პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა. ზელენსკი მოსახლეობას შეჰპირდა, გაისად „ევროვიზიის“ კონკურსს მარიუპოლში ჩავატარებთო. შარშან სწორედ მარიუპოლის სამხედრო პროკურატურის გამომძიებელმა, ვიღაც უფროსმა ლეიტენანტმა გაუგზავნა უწყება მინისტრ შოიგუს, რომლის თანახმადაც დაკითხვაზე იბარებდა. შარშან არა, მაგრამ წელს მიავლინა შოიგუმ წარმომადგენლები, თავად ვერ მოიცალა.

მარიუპოლის „აზოვსტალიდან“ ტყვედ საერთო ჯამში 2500-მდე მებრძოლი ჩაბარდა. მეთაურები რუსებმა საიდუმლოდ, ბრონირებული მანქანებით გაიყვანეს, რათა მოსახლეობას მათზე შური არ ეძია. უკრაინაში ჟურნალისტები ლოგიკურად კითხულობენ: თუ ევაკუაცია განახორციელა ზელენსკიმ, რატომ გადაიყვანეს მებრძოლები რუსეთის მიერ კონტროლირებადი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში? უკრაინაში კი მძაფრი ბრძოლები გრძელდება და როდის დასრულდება, არავინ იცის.

ამასობაში ბაიდენი აზიაში მოგზაურობს. ტურნეს მიზანია ახალი ეკონომიკური ალიანსის შექმნა აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისგან, ჩინეთის გარეშე. ექსპერტების შეფასებით, ეკონომიკური ალიანსი ჩინეთის გარეშე არაეფექტურ ორგანიზაციად გარდაიქმნება. ტურნეს ფარგლებში ბაიდენი ეწვევა ასევე ინდოეთს და ავსტრალიას. მსოფლიოში ქაოსი გრძელდება. როგორც ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, შესაძლოა, ეს სასურსათო კრიზისში გადაიზარდოს.

გია ბურდული
551 71 27 07

გურამ შარაძის ხსოვნას

„თითოეული ადამიანი საკუთარი საქმეებით უნდა ადასტურებდეს საკუთარ ღირსებას"

ბასილი დიდი

ამ დღეებში 15 წელი შესრულდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ აკადემიკოსი გურამ შარაძის უმოწყალო მკვლელობიდან.

ბატონო გურამ, თქვენი წოდება, კეთილსინდისიერი, სამშობლოს სიყვარულით, ერის მენტალიტეტის, ტრადიციების, სარწმუნოების დაცვით არის გაჯერებული. თქვენი ცხოვრების კრედო: ენა, მამული, სარწმუნოება, ღრმად იყო ჩადუღაბებული თქვენს ყოფიერებაში. ამ მცნებით, მეცნიერული მოღვაწეობით განვლეთ მიწიერი ცხოვრება, რომელიც დროებით გვევლევა თითოეულ ჩვენგანს გამოცდისათვის.

პირნათელი და ნიშანდობლივია თქვენ მიერ გაწეული ღვაწლი ამა წუთისოფლისა — ერის უძილო ებგური, მისი ღირებულებების უზადო მცველი.

ბასილი დიდი ბრძანებს: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მისი მოძღვრება ყოველგვარი შიშისა და სირცხვილის გარეშე უნდა იცდმსრებლო კადნიერებით". ეს სიბრძნე მიესადაგება თქვენ მოღვაწეობას, რომელიც ღრმად ჩაიბეჭდა საქართველოს მატიანეში და სახელოვან, ერის საამაყო, ზვარაკად შეწირულ მამულიშვილთა რიცხვეში.

ამაღლებული სულით მიეახლეთ უზენაესს და დაიმკვიდრეთ ცათა სასუფეველი. თქვენით ამაყობს ქართული გენის ჭეშმარიტი, სადად მოაზროვნე წარმომადგენლობა. თქვენით იამაყებს წინაპართა მონაპოვრის დამცველი და მათი სუფთა, იწრო ბილიკით მავალი (ტაძრად მიმყვანებელი) შთამომავლობა, რამეთუ თქვენც მიეცით მაგალითი ამისა.

არარაობაა და საცოდავი ის, ვინც ბინძური და მშაკვრული ხელი აღმართა თქვენზე და სასიკვდილოდ გაგიმეტათ. სწორედ ვის გზასაც მიჰყვებოდით — დიდი ილიას 100 წლისთავის დღეს — დაადუმეს თქვენი კალამი.

ერის სულიერ მამას ესროლეს იმიტომ, რომ ილია იყო. თქვენ კი იმისთვის, რომ გურამ შარაძე იყავით, რამეთუ თქვენში ღვთის მადლით მინიჭებულ ძალას, დიდ წინააღმდეგობას ხედავდნენ.

ვერ აიტანეს თქვენი უკომპრომისო, არგუმენტირებული მხილება მათ უკეთურებებთან მიმართებაში, რის გამოც დაიღუპა, 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის ავტორის სააკაშვილის მიერ მსოფლიოს ბნელ ძალებთან ერთობით, თქვენი ლიკვიდაცია. მათი იარაღი ბინძური და ბოროტი ტყვიაა, თქვენი კი მჭევრმეტყველი კალამი, გამჭრიახი გონება, სუფთა გული, სინდისი და ზნეობა იყო.

„საღმრთო მცნებებით, ცხოვრების ბოლო მარადიული სიცოცხლეა". — ამბობდა ბასილი დიდი.

ამ მარადიულობაში სუფევს თქვენი სული, ბატონო გურამ.

ჩვენთვის მოუშუშებელი ჭრილობა და დიდი ტკივილია თქვენი დანაკლისი. თქვენი სახელი არაოდეს წარიხოცება ჩვენი ცნობიერებიდან, რამეთუ, სადაც სიმართლეს და ჭეშმარიტებას ხედავდით, მუდმივად იქ იდექით. უკანდახევა უცხო და ყოვლად მიუღებელი იყო თქვენთვის.

მადლობა უფალს, გვყავთ ღირსეული შვილი — რუსუდან შარაძე. თქვენი სახელის ღირსების თავდადებული დამცველი, რომელიც თქვენული შემართებითა და გონიერებით, გამუდმებით ახსენებს საზოგადოებას გურამ შარაძეს და მაქსიმუმს აღასრულებს თქვენი ღვაწლის უკვდავსაყოფად.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა".

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი), მამა ვახტანგი (მარგიანი), დიაკონი მამა გიორგი (აჩელაშვილი), მრავალრიცხოვანი მრევლი.

ლადო ანდრონიკაშვილი – მზისა და მთვარის შობილი კაცი

ანდრონიკაშვილების დიდ ოჯახში 9 ათეულზე მეტი წლის წინ, ვარდობისთვეში, 26 მაისს იშვა, სიცოცხლე, რომელსაც ღმერთმა ნათლით მოსილი სკიპტრა უბოძა, ჰიპოკრატეს ფიცისთვის განამზადა და სიცოცხლის აკვანთან, მშობიარე ქალთან მიუჩინა ნავსაყუდელი. მისი ხვედრი ახალშობილის შვება და მელოგინეს ნუგეში გახდა. ბატონი ლადო ანდრონიკაშვილი მთელი ცხოვრება სიყვარულის ნაყოფს სიყვარულით კურნავდა. როგორც დიდი კონსტანტინე იტყოდა, მზისა და მთვარის შობილი კაცი, დიდი დასტაქარი, ბატონი ლადო ანდრონიკაშვილი, ვარსვლავთ მონანავედ მოევლინა დედამიწას. აფერუმ, მის მარჯვენს! რამდენი სიცოცხლე აკიაფებულა მის ხელში, რამდენი მელოგინისთვის უზარებია დედობის მადლი... მადლი ხომ ღვთისაა, ჰოდა, ღმერთმა უამრავი სიკეთე დააბერტყა...მარადიული სახელი უბოძა, ღვთისნიერი ქალი გამოუგზავნა თანამეინახედ, მზის სადარი შვილები მისცა გასაზრდელად და ქართველი კაცის გვირგვინი, ოჯახი, უკვდავებისთვის განუმტკა!

ბატონი ლადო გამორჩეული ვაჟკაცი იყო, ახოვანი, ლამაზი, მოზდენილი, ქართულ-კახეთისა და იმერეთის მეფეთა შთამომავალი, წარმომავლობით დიდებული თავადების ოჯახიდან, ყოველივე საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული და გასხივოსნებული!

„შენ სულ სხვა იყავ, სხვა გზით მოხვედი,
დიდებული და კაცი რჩეული,
ახლობლებსა და მეგობრებს შორის,
გარეგნობითაც გამორჩეული.
შენ ჰიპოკრატეს ფიცით მოხვედი,
რამდენი ღამე თეთრად ათიე,
რამდენ პატარას აჩუქე დღენი,
რამდენი დედა გადაარჩინე.
თითქმის მთებით მოიარე
საქართველოს მთა-ბარი.
სად არ იყავ, სად არ მისწვდა
შენი ნაამაგარი"... /ლილი კალანდარიშვილი/

მართლაც, ბატონი ლადო, თავის ზღვისოდენა გულით, დიდი გამოცდილებითა და მარჯვე ხელებით მთელ საქართველოში მოღვაწეობდა. ერთ ხანს სოხუმის სამშობიაროს მთავარი ექიმი გახლდათ. მრავალი წლის განმავლობაში თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე და მეან-გინეკოლოგიის განყოფილების გამგე იყო. 14 წლის განმავლობაში ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სამეგრელოს მხარის მთავარი მეან-გინეკოლოგი გახლდათ. მისი დიდი ძალისხმევით გაიხსნა 31-ე ქარხნის საავადმყოფო, ამჟამინდელი მეზუთე რეფერალური კლინიკა. იყო დირექტორის მოადგილე და მეან-გინეკოლოგიის განყოფილების უფროსი. ეს განყოფილება დღესაც მისი სახელობისაა და ერთ-ერთ კედელს ბატონი ლადოს ფოტო ამშვენებს.



ასე იღწვოდა მთელ საქართველოში ბატონი ლადო და მადლიანი ხელის გულებით შეიგრძნობდა ახალ დაბადებულის გულის ცემას. ბიჭია, ბიჭისა და გოგოა, გოგოს შემახილითა და ემოციებით განვლო ცხოვრება. მახარობელიც იყო და მიმლოცველიც, ზან სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მებრძოლი და ყოველთვის გამარჯვებული!.. კაცი სპეტაკი, განსწავლული, ღვთისნიერი, სიყვარულითა და ზნეობით აღსავსე!

ისიც, მსგავსად ჩვენი ქვეყნის დიდი მამულიშვილებისა, თერგდალეული ექიმი გახლდათ. სამედიცინო განათლება პეტერბურგში მიიღო. სამხედრო სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. კვალიფიციური ქართველი ექიმი სამშობლოში დაბრუნდა და ქვეყანას უდრტვინველად ემსახურა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სამეან-გინეკოლოგიის სკოლის შექმნაში და პროფესიონალთა არაერთი თაობა აღუზარდა ქვეყანას.

დისერტაცია მოსკოვში დაიცვა. გახლდათ სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უამრავი ახალგაზრდა ექიმის აღმზრდელი, მრავალი ქალისა და ბავშვის გადამრჩენელი, პროფესიისთვის თავდადებული და თავგანწირული, კაცურ-კაცობის სიმბოლო, დიდი ლადო ანდრონიკაშვილი!

თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე მემორიალური დაფაა გამოკრული — „ამ სახლში ცხოვრობდა ცნობილი ექიმი...."

ბატონი ლადო ქართველობის სიმაღლეა! იხაროს მისმა გენმა, ჯიშმა და მოდგმამ!

ნინო რეხვიაშვილი
პუბლიცისტი

ალექსანდრე (ალეკო) შენგელიას ხსოვნას

ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი, კაცი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი გზა ჟურნალისტიკაში, ადამიანებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

ბოლო წლების მანძილზე არცერთი ჩემი სტატია და სატელევიზიო გამოსვლა არ გამორჩენია კომენტარი არ მოეწეროს, თვითონაც, ერთერთ პირველს მაკითხებდა ყოველ ახალ ლექსს, დიდი გულისტკივილით განიცდიდა ქვეყანაში და მის გარეთ მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს.

ბევრჯერ უთქვამს: „ახლა დგას ჟამი „კაკაბეთის ზარების" ხელახალი დარისხებისა, მაგრამ ამჟამინდელი მტერი ბევრად ვერაგია, ვიდრე მაშინდელი, მაშინ მთლიანმა საქართველომ მოიგერია იგი, ახლანდელმა განხეთქილებამ ვის რა უნდა დააკლოსო!"

ფარხმალს მაინც არ ჰყრიდა, ამქვეყნად ყოფნის ბოლო წუთამდე იბრძოლა და სამშობლოს ემსახურა!

მახსენდება, 1989 წლის „წაბლანის ტრაგედიას" და აჭარიდან ეკომიგრანტთა გადმოსახლებას, რამდენიმე ტელეგადაცემა მივუძღვენი, მაშინდელი ტელევიზიის სახალხო მეურნეობის რედაქციის თანადგომით.

იმ დღეებში, აღფრთოვანებული გვესტუმრა ბატონი ალეკო რედაქციაში და ყველას გააგებინა: „ჩემი სტუდენტყოფილია დავითიო!"

ჩემთვის, ყველაზე დიდი ჯილდო იყო მაშინ ბატონი ალეკოს სიტყვები!

იმ დღიდან მოყოლებული, „ოსტატოთი" მივმართავდი მას, მისი „შეგირდი", რომელსაც ნამუშევარი მოუწონა!

რამდენიმე კვირის წინ, ჩემს მორიგ სტატიაზე მომწერა:

„ჩემო დავით, შენს ძალზე საინტერესო ნაწერებთან დაკავშირებით შეგახსენებ ოთხ ბწკარედს ჩემი კრებულიდან, რომელიც ჯერ კიდევ 2014 წელს გამოიცა, შექმნით კი გაცილებით ადრე შეიქმნა.

დავითის გზა გვჭირდება!
ვერც „ნატო", ვერც „დესეთე" ჩვენში ვერ დაივანებს,
ნუ გვიმტკიცებთ, ნურავინ გაჯიბრდება;
არა ერთდაიმავის--იანკის და ივანის,
საქართველოს დავითის გზა სჭირდება!"

ღმერთმა გისმინოთ, აგვხედნოდეს „დავითის გზით მავალი საქართველო"!

თქვენ კი, ოსტატო: მიწიერი საქართველოს გამნათებელს, ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა ზეციურ საქართველოში!

დავით ქოგალია

ნიკუშა

პოლიტიკური ნოველა

ბადრაგმა უთხრა, შებრძანდითო. ასეთ ზრდილობიან მოპყრობას არ ელოდა, დაიბნა.

– შებრძანდით-მეთქი, ბატონო ნიკოლოზ, – გაიმეორა ბადრაგმა და თან გაუღიმა.

შებრძანდა, საკანი მოათვალიერა. გაოგნდა, ასეთი სისუფთავე და წესრიგი საკუთარ სახლშიც არ უნახავს. თანამედროვე ტიპის საწოლზე ჩამოჯდა. ბადრაგმა ბორკილები შეხსნა და ღიღინით გავიდა.

– უკაცრავად, ბატონო, რატომ ღიღინებთ, ჩემი დაპატიმრება გიხარიათ?! – წამოიღნავლა ტუსაღმა.

– მე თქვენ საიდანღაც მეცნობით, ვინ ხართ? – მიუგო ბადრაგმა.

– მე ვინ ვარ? განა ეს კითხვას საჭიროებს? ტელევიზორს არ უყურებ, შვილო?!

– აი, გამახსენდა,თქვენ ერთხელ საქართველოს მოსახლეობას ეჩხუბებოდით, ღვინოში უნდა ჩაგიფსათო, – ჩაიცინა ბადრაგმა.

– მეღადავებით?!

– არა, როგორ გეკადრებათ? მალე მოვლენ, ლოგინსა და თეთრეულს მოგიტანენ, ალბათ მოგშივდებოდათ კიდევაც, – შეცვალა თემა ბადრაგმა, რომელიც მეტად წარმოსადეგი ვინმე გახლდათ, მით უფრო ტუსაღთან შედარებით.

– მე თქვენ თეთრეულში არ ჩავწვები... ვიცი, მომწამლავთ და დამაქეციანებთ. სხვათა შორის, ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ ძალოვანი უწყებებიდან ჩემმა ინფორმატორებმა მაცნობეს! – აღნავლდა ისევ ტუსაღი.

– ბატონო ნიკოლოზ, ლოგინი და თეთრეული მოგიტანეთ, – შეიხედა ნახევრად ღია კარში ჯიშიანმა ქალბატონმა, რომელსაც მკერდი გომბორის ბორცვებივით გამოჰბერვოდა, ხოლო უკან ჩია ტანის მოსამსახურე მოჰყვებოდა კურტანმოკიდებული.

– თეთრეული არ მინდა! – შეხტა და შემოტრიალდა ბატონი ნიკოლოზი.

– ბატონო ნიკოლოზ, ეს პროტოკოლითაა გათვალისწინებული, უთეთრეულოდ ვერ დაგაძინებთ, – შემოიყარა დოინჯი ფორმიანმა, თანაც ჯიშიანმა ქალბატონმა, ატმის ხესავით აფეთქებულმა და მოქნეულმა გავაზივითა.

– თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ ნიკუტა დამიძახოთ, – გეგონება დადნაო ნიკოლოზი.

– დიახ, ბატონო ნიკუტა, მალე საჭმელსაც მოგიტანენ... აი, მენიუ ინებეთ, თქვენთვის სასურველი კერძები კალმით შემოხაზეთ, – მიუგო ქალმა და კალამი გადააწოდა, თან ისე გადაიხარა, ათქვირებულ ძუძუებშიც ჩაახედა, საიდანაც ველური ვარდის სურნელი ამოვარდა.

ნიკოლოზი გაბრუვდა, ველარ გაეგო, სატუსაღოში იყო თუ სამოთხეში. სადღაც გულის კუნჭულში კი სიამოვნებს, ასე რომ ეპყრობიან, მაგრამ ამას ხომ არ იკისრებს? ხვალ დილიდანვე უნდა განაცხადოს, რომ იგი ძალზედ იტანჯება და განიცდის არნახულ დისკომფორტს. მეტიც, ასეთი ფამილარული მოპყრობა არის წამების ერთ-ერთი ფორმა, რაც უთუოდ მოიაზრება ანტიდემოკრატიულ, ანტიპლურალისტულ ნაბიჯად. განა ასე არ თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა? ნანობს, მას ცოტა ხნის წინათ აუგად რომ იხსენიებდა. პრინციპში, სანანებელიც არაფერია, მაშინ ღირსი იყო. ჰოდაააა... ასევე, წამების ერთ-ერთი ფორმაა ასეთი თეძოებიანი ქალის გამოგზავნა. ამათ ჰგონიათ, ამნაირი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი აიძულებს, აქაური საჭმელები გასინჯოს? არავითარ შემთხვევაში! სანამ საკანში წამოიყვანდნენ, დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ უთხრა, ბიძინა ივანიშვილი ორი გზით გიპირებს დაქეციანებას – თეთრეულით და საჭმლითო. ნატო ჩხეიძისთვის ეს ინფორმაცია გადმოუცია მისსავე მეუღლეს, ლონდონში მყოფ ზაზა ოქუაშვილს. ზაზა ოქუაშვილს ამ საკითხზე თბილისიდან დალაპარაკებია ელეონორა კილაძე, რომლისთვისაც აგი ამბავი ძალოვანთა სისტემებიდან მიუწოდებია ერთ-ერთ მაღალჩინოსანს. აი, ამაშია საქმეო, ჩაილაპარაკა ნიკუტამ, საწოლზე ჩამოჯდა და კვლავ სიღრმისეულ ფიქრებში ჩაიძირა... ამას არ აპატიებს ბიძინა ივანიშვილს, დილეგში კი არა, გამოქვაბულშიც რომ შეაგდოს, სახეს აახევს, სახეს, მარააა! ეხლა სალომე ზურაბიშვილმა უნდა შეიწყალოს, ეს უარს იტყვის, გაძალიანდება, ფეხებს გაფშეკს, არ მინდა მაგისი გულმოწყალებაო და ის კიდე მაინც შეიწყალებს ევროპელი პოლიტიკოსების ზეწოლით. ჰმ... ბოლო-ბოლო სქელტრაკა უგულავა შეიწყალა ზეწოლით, მაგაზე მეტი გასავლიანობა არ აქვს? მაგაზე მეტი გმირობა არ გამოუჩენია? მაგაზე მეტად არ უყვარს მამული, დედული და ცვრიანი ბალახ-ბულახი? ეგრე სად არი, თაყავო?!

– ბატონო ნიკოლოზ, მენიუს გადახედეთ? – შემოიჭყიტა სარკმლიდან თეთრხალათიანმა მზარეულმა ქალბატონმა, რომელსაც ბანანის საამო სურნელი ასდიოდა.

– შენ ვინ ხარ, რა გინდა? – შესძახა ნაწყენი ტონით ნიკოლოზმა და საზოლიდან გადმოკუნტრუშდა.

– მე თქვენი კვება დამავალეს... იმედია, მიხეილ სააკაშვილივით არ გამაწვალებთ!

– ახ, ესე იგი, ბიძინა ივანიშვილმა შენი ხელით უნდა დამაქეციანოს?! – აჭყვიტინდა ნიკოლოზი და უცებ თავში იტაცა ხელები, – ოხ, ეს წყეული შაკიკი!!!

– შაკიკმა შემოგიტიათ? – ჩაეკითხა მზარეული.

– დიახ... განა შეიძლება, არ გიტევდეს შაკიკი იმ ქვეყანაში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი მართავს?!

– თქვენ უნდა მიიღოთ ფსელში გაზავებული ღვინო, რომელიც შეიცავს ძალზედ სასარგებლო მაგნიუმს.

– ღადაობ, ხო? – ჩაჰქინდრა თავი გამწარებულმა ნიკოლოზმა.

– არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ეგ უებარი წამალია.

– არა, ეგ დაქეციანების საშუალება იქნება, როდესაც ნატო ჩხეიძე მინახულებს, მას გამოვკითხავ ძალზედ წვრილად და სიღრმისეულად, მე ივანიშვილის სისტემას არ ვენდობი, გასაგებია?! – შეხტა და შემოტრიალდა ნიკოლოზი.

– გასაგებია... ესე იგი, თქვენ უარს აცხადებთ ჭამაზე?

– დიახ, ეს ხელისუფლება არ არის იმის ღირსი, რომ მისი მომზადებული რაღაცები ვჭამო, ეგღა მაკლია!

– იქნებ მენიუსთვის მაინც გადაგეხედათ? – მოსინჯა კიდევ ერთხელ მზარეულმა.

ნიკოლოზმა ანაზდეულად ჩაიხედა მენიუში. აათვალიერა და ჩაათვალიერა. ერთ ხანობას თვალები გაუფართოვდა, გამომეტყველებაზე გაკვირვება დაეტყო.

– შენ რა გქვია? – ჩაეკითხა მოულოდნელად ნიკოლოზი.

– მიმოზა, ჩემო ბატონო, – დაირცხვინასავით მზარეულმა.

– მშვენიერი სახელია, ძალზედ რომანტიკულადა ჟღერს... ისე, არ გამცეთ, მიმოზა, ელარჯს კი გაწელავდა ახლა კაცი, – მოწკურა თვალები ნიკოლოზმა.

– მოგართვათ?

– ოღონდ ამ ერთხელ... იმედია, ბიძინა ივანიშვილი პირველივე დღეს არ მოინდომებს ჩემს დაქეციანებას!

– არა, როგორ გეკადრებათ?

– ისევ მე მეკადრება, ადამიანო? დამიჭირეთ, მანერვიულეთ, წნევა ამიწიეთ, გამაშაკიკეთ, ჭკუიდან გადამიყვანეთ და კიდევ მე მეკადრება?!

– უკაცრავად, ასე არ მინდოდა, სხვანაირად გამომივიდა, – ისევ დაირცხვინა მზარეულმა.

– ოჰო, თქვენ გებჟალიაც გქონიათ... ფურჩხოლიაც, ჭვიშტარიც, კუჭმაჭიც! – წამოიჭყვიტინა ნიკოლოზმა.

– დიახ, ჩვენ შეგვიძლია, ყველა კერძი ამ წუთასვე მოგართვათ.

– არა, ამჯერად მხოლოდ ელარჯს გავწელავ! – გასცა ბრძანებასავით ტუსაღმა.

– კარგი, ჩვენ მოხარული ვართ, რომ ელარჯის გაწელვა მოისურვეთ.

– ერთი რა მაგის პასუხია და... წეღან რომ თქვით, მიხეილ სააკაშვილმა გამაწვალაო, რა ხდება, რაშია საქმე, რატომ იხსენიებთ ბელადს ასე ირონიულად?! – დაიწყო დაკითხვასავით ნიკოლოზმა, როგორც ყოფილმა პროკურორმა.

– ფაფებს ჭამდა და შემდეგ მთელ პერსონალს დედებს გვაფიცებდა, არსად თქვათ, ამ ფაქტმა არსად არ უნდა გაჟონოსო. არადა, მაინც გაჟონა. იმ ღამეს დაგვემუქრა, ყვერებს გამოვიკვანძავ და თქვენ დაგაბრალებთო, – ყვერების ხსენებაზე ყურებამდე გაწითლდა მზარეული, მაგრამ რა უნდა ექნა, ფაქტი ხომ უნდა აღენიშნა?

– რას ლაპარაკობ, ბელადი ყვერების გამოკვანძვას ლამობდა?! – შეჰყარა ნამეტნავად ვაჟკაცური წარბები ნიკოლოზმა და თან ტუჩების კვნეტა დაიწყო.

– დიახ, ასე გვემუქრებოდა, ხელებს პარჭყავდა და საჩვენებელ თითს გვიქნევდა, პრეზიდენტი ისევ რომ გავხდები, ყველას მოგკითხავთ პასუხსო!

– ეხლა რას შვრება, ყვერებს ისევ აწვალებს?

– ეხლა უფრო ხშირად თავის თავს ელაპარაკება, პერიოდულად ტაშს უკრავს და ორდენებით აჯილდოვებს.

– რისთვის აჯილდოვებს?

– დიდგორისა და ცხინვალის ბრძოლები მოვიგეო, კიდევ რომ მოვიგო, აპლოდისმენტები მჭირდებაო, ნება იბოძეთ და დამაფასეთო.

– დიახაც, უნდა დააფასოთ, ის უდიდესი მხედართმთავარია!

– ვაფასებთ, როგორც შეგვიძლია, ტაშს ვუკრავთ, მეტი რა გავაკეთოთ?

– მხოლოდ ტაში არ კმარა, მის პატივსაცემად ბუშტებიც უნდა გაუშვათ ხოლმე ცაში!

– აი, ეგ ვერ მოვიფიქრეთ და არც თვითონ უთქვამს.

– ის ვერ გეტყვით, ნამეტანი მორიდებულია, რცხვენია. განა ბევრი მეფე იცით საქართველოს ისტორიიდან, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისთვის ყვერებს იკვანძავდა?

– მე ვერ ვიხსენებ.

– ვერც გაიხსენებ, ასეთი არ არსებობს. ახლა წადი, გამშორდი, ელარჯი გამომიგზავნე, გავწელავ, შემდეგ დავიძინებ, რათა ძალები მოვიკრიბო და მთავარ დემონს შევერკინო.

მზარეული გაუჩინარდა. ნიკოლოზი, ანუ ნიკუტა ქათქათა ლოგინზე წამოწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და კვლავ ფიქრებს მისცა გოდორივით თავი.

უი, კინაღამ დამავიწყდა, ეს იმაზე მოგიყევით, ნიკა გვარამიაზე, მოულოდნელად რომ შეაგდეს პენიტენციურ დაწესებულებაში. ამ ეტაპზე უცნობია, ის ელარჯს წელავს თუ ერთ-ერთ საკუთარ ორგანოს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

http://www.saertogazeti.ge

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99